შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11 (9.625)

5-12 აპრილი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქედების ზონას სასწრაფო დახმარება დაუბრუნდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ პრობლემებს გაეცნო. აღნიშნულ შეხვედრაზე გამოიკვეთა სამედიცინო პრობლემები - ბოლო პერიოდში ზემო ქედში აღარ მორიგეობდა სასწრაფო დახმარების ჯგუფი (მედ. პერსონალის ოფისის არასახარბიელო პირობების გამო), რის გამოც ქედების ზონის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურების პრობლემები შეექმნათ. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა პრობლემა მოაგვარა და ხვალიდან ზემო ქედში კვლავ იმორიგეევებს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობას.

რა ზიანი მიაყენა ყინვამ დედოფლისწყაროს?

გასულ კვირას საქართველოში ტემპერატურის მკვეთრად დაცემამ და მოულოდნელად მოსულმა თოვლმა ხეხილს პრობლემა შეუქმნა.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ უკვე აყვავებული ხეხილი ყინვამ მნიშვნელოვნად დააზიანა, რაც წელს მოსავლის შემცირებას გამოიწვევს. საწინააღმდეგოს ამტკიცებენ დედოფლისწყაროში, ფერმერები ამბობენ, რომ ნალექს ელოდნენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს საკონსულტაციო სამსახურში გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებენ, რომ დედოფლისწყაროს რაიონის მოსახლეობა მეხილეობას არ მისდევს, მარცვლეული კულტურების ნათესები კი ნალექს საჭიროებდა, ამდენად, ახლახან მოსული თოვლი ყანებზე დადებით გავლენას უფრო მოახდენს, ვიდრე უარყოფითს.

„ამ მხრივ დედოფლისწყაროს ზარალი არ მიუღია. ამ დღეებში ჩვენთან არ დაფიქსირდა ისეთი ყინვები, რომ მოსავალი დაეზიანებინა. ძირითადად კენკროვან მცენარეებზე იყო კვირტი გამოსული და, შესაძლოა, ის გაყინოს. რაც შეეხება ხორბალსა და ქერს, დაბალ ტემპერატურას არანაირი ზიანი არ მიუყენებია. თუ სადმე რამდენიმე ხეხილი გაგვიყინა, ვფიქრობ, ეს სერიოზულ პრობლემას არ შეუქმნის დედოფლისწყაროს. პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ ყანას ნალექი სჭირდებოდა და პირიქით ჩვენს ნათესებს თოვლი ძალიან წაადგა,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა გიორგი ბენაშვილმა.

იგივე აზრს აფიქსირებენ გამოცდილი ფერმერები. მათი მტკიცებით, დედოფლისწყაროს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ნალექს საჭიროებდნენ.

„თოვლი და ყინვა ცუდად არ იმოქმედებს მარცვლოვანი კულტურების მოსავალზე, თუმცა, ხეხილს დააზიანებს. ძალიან დიდი გვალვა იყო და მადლობა ღმერთს, ამჯერად კარგი ნალექი მოვიდა. ახლა უკვე სითბო უნდა, რომ ხორბალი გაიზარდოს, რადგან მოგეხსენებათ, რომ გასული შემოდგომა ზამთარი ძალიან გვალვიანი იყო,“ – აღნიშნავს ფერმერი ელიზბარ იმერლიშვილი.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მარტის თვეში ასეთი ყინვა საქართველოში 2004 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა.

ილია მარტყოფლიშვილი

მსოფლიო რეკორდი დედოფლისწყაროში

გვ. 3

უხარისხო საკვები

ნელი მოქმედების ნაღმი

გვ. 5

ბზის უკანონო მოჭრისთვის მოქალაქეები დაჯარიმდებიან

გვ. 2

ხანძრის შემთხვევა სოფელ არბოშიკში. როგორც სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა თურმან კოჭლამაზაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, ცეცხლი ბატიაშვილების ეზოში მდებარე საქონლის ბოსელს გაუჩნდა. სახანძრო-სამაშველო სამსახურის ეკიპაჟმა ცეცხლის საცხოვრებელ სახლზე გავრცელების საშიშროება დროულად აღკვეთა. ერთ-ერთი ვერსიით, ხანძარი მოძველებულმა ელექტროსადენებმა გამოიწვია.



გუბერნატორების სამთვიანი ანგარიში პრემიერ ღარიბაშვილს

გუბერნატორების სამთვიანი მუშაობის ანგარიში განიხილეს 31 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ რეგიონის გუბერნატორებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე.

საუბარი შეეხო რეგიონებში არსებულ მდგომარეობას და მიმდინარე რეგიონულ პროექტებს. პრემიერ-მინისტრმა გუბერნატორებისგან მოისმინა ინფორმაცია თითოეულ რაიონში არსებული პრობლემებისა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

პრემიერ-მინისტრი საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოებითაც დაინტერესდა.

სამუშაო შეხვედრას აჭარის მთავრობის მეთაური არჩილ ხაბაძე და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი აკაკი ჩხენკელი დაესწრნენ.

როგორც კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი შიოლაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მის ანგარიშში ყურადღება წყალმომარაგებისა და უმუშევრობის პრობლემაზე გაამახვილა.

შიოლაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მისი წინამორბედები არ მუშაობდნენ და რეგიონში ვითარება არცთუ სახარბიელო იყო. გუბერნატორი ამბობს, რომ მისი მოლაპარაკების შედეგად რეგიონში გაზგასამართ სადგურებს ბუნებრივი აირი შეუფერხებლად მიეწოდებათ. ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა, რომელიც ამ წუთას გუბერნიაშია დანერგილი და სულ მალე ყველა რაიონში ამოქმედდება.

„მოგეხსენებათ, რომ კახეთის არცერთ ქალაქში და სოფელში წყალმომარაგების პრობლემა გადაჭრილი არ არის და იცით, რომ მიმდინარე წელს 35-40 მლნ ლარამდე სწორედ წყალმომარაგების პრობლემაზეა ჩასმული და წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად ვმუშაობთ. აღინიშნა, რომ მანამდე რა იყო გუბერნიის როლი და ახლა როგორ შეიძინა მაკოორდინირებელი ფუნქცია. თითქმის ყველა რეგიონში გაიმართა გუბერნიის სისტემა. ეს კი ყველა მუნიციპალიტეტმა იგრძნო," - აცხადებს ირაკლი შიოლაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული ტურნე დაასრულა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რეგიონული ტურნე დაასრულა. აჭარის რეგიონში გამართული სამუშაო შეხვედრების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი წმინდა მატათას სახელობის გიმნაზია-პანსიონს ესტუმრა, სადაც ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ უმასპინძლა.

მეუფემ პრემიერს ხელოვნების აკადემიის მშენებარე ობიექტი დაათვალიერებინა და აკადემიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები გააცნო.

პრემიერ-მინისტრმა გიმნაზია-პანსიონის აღსაზრდელებიც მოინახულა და მათი ნამუშევრები დაათვალიერა. ბავშვებმა სტუმრების პატივსაცემად რამდენიმე მუსიკალური ნომერი შეასრულეს.

ნოდარ ხადური — დაუბეგრავი მინიმუმის სახით უკვე 30 მილიონ ლარზე მეტია დაბრუნებული

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, 4 დღეში უკვე 30 მილიონ ლარზე მეტია დაბრუნებული. დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად დეკლარაციების შევსება 2014 წლის პირველი აპრილიდან დაიწყო და 30 სექტემბრის ჩათვლით არის შესაძლებელი.

მინისტრის თქმით, ბაზაში უკვე 220 ათასი ადამიანია დარეგისტრირებული.

„ბიუჯეტიდან 200 მილიონი ლარის დარიგება იწყება იმათთვის, ვისაც 6000 ლარზე ნაკლები ჰქონდა შემოსავალი. ეს არის მთავრობის მორიგი უაზრო ინიციატივა. გადაყრილი ფული. შემოსავლების დამალვის წახალისება, ხელფასების ზრდის შეჩერება და კიდევ უამრავი სხვა ცუდი რამ. ეს ფული მთლიანად რომ მიემართათ, მაგალითად ჯანდაცვაში, ერთხელ და სამუდამოდ იქნებოდა გადაჭრილი ამ კადეგორიის ადამიანების სამედიცინო პრობლემები", — ამბობს ეკონომიკის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე.

დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად დეკლარაციის შევსება 30 სექტემბრის ჩათვლით შეიძლება

დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად დეკლარაციების შევსება 2014 წლის პირველი აპრილიდან დაიწყო და 30 სექტემბრის ჩათვლით არის შესაძლებელი. ფიზიკურ პირს შეუძლია დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაცია შემოსავლების სამსახურში წარადგინოს ინტერნეტის საშუალებით ან შესაბამის საბანკო დაწესებულებაში მისვლით.

ზურაბ აბაშიძე – რუსეთის მიერ საზღვრის კიდევ ერთხელ გადმოწევის საკითხს აუცილებლად დავსვამთ

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს საზღვრის გადმოწევის კიდევ ერთი ფაქტის შესახებ საკითხი ქართული მხარის მიერ აუცილებლად დაისმება. ლაპარაკია თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს საზღვრის გადმოწევაზე, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს საფრთხეს უქმნის.

ზურაბ აბაშიძის თქმით, ამ საკითხზე ჟენევის მოლაპარაკებების დროს საუბარი მუდმივად იმართება.

„ეს აღნიშნული საკითხი ახლაც გამოკვეთილად იყო განხილული და გრიგორი კარასინისთან ჩვენს შეხვედრებზეც. თუმცა ეს ჩვენს მანდატში არ შედის. ამაზე საუბარი ყოველთვის ხაზგასმით გვაქვს. ჩვენი შეხვედრა უახლოეს დღეებში დაგეგმილი არ არის. ადრე თუ გვიან შედგება და იმის მიხედვით, თუ რა ვითარება იქნება შექმნილი კონკრეტული მომენტისათვის, ამაზეც გვექნება საუბარი. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხს აუცილებლად დავსვავთ", – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ."

ბზის უკანონო მოჭრისთვის მოქალაქეები დაჯარიმდებიან

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო და საპატრიარქო მოქალაქეებს მოუწოდობენ, თავი შეიკავონ ბზის ხეების უკანონო მოჭრისაგან. საქართველოს საპატრიარქოში დღეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ და პატრიარქის ქორეპისკოპოსმა თეოდორე ჭუაძემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს, სადაც ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს. კერძოდ, მათ მოსახლეობას მოუწოდეს თავი შეიკავონ ბზის ხეების უკანონო მოჭრისაგან.

როგორც ბრიფინგზე ხათუნა გოგალაძემ აღნიშნა, კოლხური ბზა წარმოადგენს ენდემურ სახეობას და მნიშვნელოვან მერქნულ რესურსს. ამასთან, ამ მცენარეს ახასიათებს ბოლო წლებში შემცირების ტენდენცია. ხათუნა გოგალაძემ საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა, თავი შეიკავონ ბზის მოჭრისაგან, რადგან კოლხური ბზა შეტანილია წითელ ნუსხაში და მათი უკანონოდ მოპოვება კანონით ისჯება.

მინისტრის განცხადებით, კანონმდებლობის მიხედვით, უკანონოდ მოჭრილი ბზის გამოვლენის შემთხვევაში პირი 200-დან 500 ლარამდე თანხით დაჯარიმდება, თუ ზიანი 1 000 ლარს გადააჭარბებს, პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ემუქრება. გოგალაძის განმარტებით, მათ ბზობის დღესასწაულის გამო არ სურთ პირთა დასჯა და სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ამდენად, მოქალაქეებს მოუწოდებს თავი შეიკავონ ბზის ხეების მოჭრისაგან.

თავის მხრივ, მეუფე თეოდორემ მოსახლეობას ბზობის დღესასწაული წინასწარ მიულოცა და აღნიშნა, რომ ბზის ტოტებით მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის დღესასწაულს აღვნიშნავთ. ამდენად, ხშირად ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით უმოწყალოდ იჭრება და ნადგურდება უნიკალური კოლხური ბზა. მისივე თქმით, უფლისადმი სიყვარულის გამოვლენა დიდი რაოდენობით ბზების შეძენაში არ გამოიხატება, დღესასწაულზე საკმარისია თუნდაც ერთი ტოტის ყიდვა.

ბრიფინგზე ითქვა, რომ უმჯობესი არის სპეციალურად ამ დღისათვის სანერგეებში გამოყვანილი ბზების შეძენა, რომელსაც აკურთხებენ ეკლესიაში და მთელი წელი მორწმუნეს შესაძლებობა ექნება მოუაროს და მცენარე გაახაროს. ხათუნა გოგალაძემ და მეუფე თეოდორემ იმედი გამოთქვეს, რომ მოსახლეობა მათ რჩევებს გაითვალისწინებს.

მანანა კობახიძე – იქნებ სწორედ ახალაიას არ აწყობდა შალვა თათუხაშვილი ცოცხალი

იქნებ სწორედ ახალაიას არ აწყობდა შალვა თათუხაშვილი ცოცხალი, რადგან მის წინააღმდეგ მისცა ჩვენება?!, - ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა.

მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია და წინასწარ ვერაფერს იტყვის, რომ ვინმეს რამე არ დაბრალდეს. კობახიძის შეფასებით, საპარლამენტო უმცირესობა აღნიშნული საქმით მანიპულირებს და სინამდვილეში არსებული ვითარებით დაინტერესებულიც არ არის.

"საბოლოო პასუხი გაეცემა ყველა კითხვას, როცა გამოძიება დასრულდება და დაიდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. შუალედურ ეტაპზე ცხადია ყველაფერზე პასუხი ვერ იქნება, რადგან ძიების პროცესი ნიშნავს იმას, რომ კიდევ იქნება საგამოძიებო მოქმედებები ჩასატარებელი, რათა ყველა ეჭვი გამოირიცხოს და ყველაფერს გაეცეს პასუხი. "ნაციონალური მოძრაობა" ამ საქმის პოლიტიზებას ახდენს, აბსოლუტურად დესტრუქცია შემოაქვს. მათი განწყობა ისეთია, რომ ფირების ყურება, ბოლომდე მოსმენა არ უნდათ. წინასწარი განწყობები აქვთ შექმნილი, რაც არასწორად მიმაჩნია და ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი საქმის ვითარებით არ არიან დაინტერესებული. არ არის სწორი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნაც, რადგან გამოძიებას საგამოძიებო ორგანო ატარებს, ექსპერტიზაც საგამოძიებო ორგანომ უნდა ჩაატაროს, დაკითხვები გამომძიებლებმა უნდა აწარმოონ. მხოლოდ ერთი კვირაა გასული, ამიტომ ასეთ საქმეზე პარლამენტი საგამოძიებო კომისიას არასდროს ქმნის. მე ასეთი კითხვა მაქვს - იქნებ სწორედ ახალაის არ აწყობდა ეს მოწმე ცოცხალი?! წავიდეს მაშინ გამოძიება ამ ვერსიით", - აღნიშნა მანანა კობახიძემ.

საპარლამენტო უმცირესობა კი შალვა თათუხაშვილის საქმესთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ისევ ითხოვს. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას უმცირესობის წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, პროკურატურა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია იტყუებიან, რადგან ვიდეომასალა, რომელიც პროკურატურამ დღეს სხდომაზე აჩვენა, საქმესთან კავშირში არ არის.

"პროკურატურა ეუბნება საზოგადოებას, რომ თათუხაშვილი თავისი ნებით მივიდა პროკურატურაში, მისცა მათ სასურველი ჩვენება და ამის შემდეგ დაცვა მოითხოვა, რადგან შესაძლებელი იყო მასზე ზეწოლა განხორციელებულიყო. პროკურატურის ვერსიით, თათუხაშვილი დაცვამ საკუთარ სახლში მიიყვანა მისივე თხოვნით და მან რკინის გისოსებიდან გაქცევა მოახერხა. ის რამდენიმე დღე იყო ტყეში, საიდანაც გამოვიდა დაბანილი, დასუფთავებული და დადიოდა გასართობ დაწესებულებებში, სადაც ის მთვრალი დებოშს აწყობდა. შემდეგ აკავებენ და მიჰყავთ დაკითხვაზე. უმრავლესობამ დღეს ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ დაგვესვა კითხვები. აჩვენეს ფირები, რომელიც საქმესთან კავშირში არ არის. მთავარი პროკურორი კი ცრუობს, როცა ამბობს, რომ მზად არის ყველა კითხვას გასცეს პასუხი. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საპარალამენტო უმცირესობას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი და აუცილებელია საგამოძიებო კომისიის შექმნა", - აღნიშნა ზურაბ ჯაფარიძემ.

მსოფლიო რეკორდი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს სპორტულ ცენტრში სოფელ სამთაწყაროს მკვიდრმა 47 წლის გოჩა კეკიშვილმა 30 მარტს მსოფლიო რეკორდი მოხსნა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მან ერთი საათის განმავლობაში 40 კილოგრამიანი გირი 1078-ჯერ აწია. მძლეოსანმა რეკორდი ხელების მონაცვლეობით რამდენიმე შესვენების გამოყენებით დაამყარა.

პროცესი მსოფლიო გინესის რეკორდების მაფიქსირებელი ფედერაციის წარმომადგენლების მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა.

სპეციალური კომისიის მიერ დაფიქსირებული გოჩა კეკიშვილის მონაცემები ლონდონში გინესის რეკორდების შტაბ-ბინაში გაიგზავნა. ორი თვის ვადაში გაირკვევა აღიარებს თუ არა გინესის რეკორდების შტაბ-ბინა დედოფლისწყაროელი ძალოსნის შედეგს.

ამავე სახეობაში ამჟამად არსებული გინესის რეკორდი საათში 850 აზიდვაა.

როგორც სარეკორდო ასპარეზობის დაწყებამდე კავკასიის მსოფლიო რეკორდების მაფიქსირებელი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და ღონისძიების წამყვანმა **შოთა ქელდიშვილმა** ასპარეზობის დაწყებამდე აღნიშნა, გოჩა კეკიშვილს აქამდე ოფიციალური გინესის რეკორდი სამჯერ ჰქონდა დამყარებული.

ორ ხელზე მიზიდვა ერთი წუთის განმავლობაში 157-ჯერ, მეორე მსოფლიო რეკორდი 24 კილოგრამიანი გირის აზიდვა 4 საათის განმავლობაში 4 419 ჯერ, მესამე მსოფლიო რეკორდია: ორ ხელზე მიზიდვა 1 საათის განმავლობაში 3 675 ჯერ, რითიც სრულად დააკმაყოფილა მსოფლიო გინესის წიგნის ნორმატივი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები გოჩა კეკიშვილი 1966 წლის 20 ნოემბერს დაიბადა. აქტიური ვარჯიში ძალოსნობასა და მძლეოსნობაში 2007 წლიდან დაიწყო. ბოლო ხანს სამუშაოდ თბილისში გადავიდა. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

როგორც სამგზის რეკორდსმენმა განაცხადა, მისი სურვილი იყო, რომ სარეკორდო-საგინესო ასპარეზობა სწორედ მის მშობლიურ რაიონში ჩატარებულიყო და მოხარულია, რომ ოცნების ასრულება მოხერხდა.

გოჩა კეკიშვილი: „ეს მეოთხე საგინესო ასპარეზობა იყო, თუ მომავალში განვითარდება, ვეცდები შედეგი უფრო გავაუმჯობესო და პირველობა არავის დავუთმო. ასევე, გეტყვით იმასაც, რომ ამჟამად უკვე კიდევ ერთი ახალი, რეკორდისთვის ვემზადებით“.

სარეკორდო ასპარეზობისთვის საჭირო ფინანსური ხარჯები მთლიანად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო, რომელიც შესაბამის ფედერაციასთან ერთად ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ასპარეზობას მოადგილეებთან ერთად დედოფლისწყაროს გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** დაესწრო.

„ეს წლების განმავლობაში დაუღალავი შრომის შედეგია. მადლობა მას, ვულოცავ ამ მიღწევას და ვუსურვებ, რომ უფრო დიდი წარმატებებისთვის გვეგულშემატკივროს და გვემასპინძლოს,“ - აღნიშნა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ოფიციალური ცერემონიის შემდეგ კავკასიის მსოფლიო რეკორდების მაფიქსირებელი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა შოთა ქელდიშვილმა კომენტარი გააკეთა, მძლეოსანის შესაძლებლობებზე ისაუბრა და ყველა მხარდამჭერს მადლობა გადაუხადა.

„მსოფლიოში ასეთი შედეგი ჯერ არავის დაუფიქსირებია. რამდენიმე დღის წინ თბილისში ჩავატარეთ საცდელი, არაოფიციალური ასპარეზობა, სადაც გოჩამ საათში 1000-მდე აზიდვა განახორციელა. ამიტომაც დავგეგმეთ საგინესო სარეკორდო ასპარეზობა, რომელიც გოჩამ მეოთხედ გამართა. ამჯერადაც იმედი ჰქონდა, რომ ათასს თავისუფლად მიაღწევდა. საბოლოო ჯამში, გაირკვა, რომ მოცემულ დროში 1 078 აზიდვა მოასწრო. მან დღეს ნათლად დაამტკიცა, რომ ასაკის მიუხედავად, დიდი პოტენციალის მქონე ადამიანია. თავადაც საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი და გვარწმუნებს, რომ უახლოეს მომავალში, თუ ვინმე ამ რეკორდს განავითარებს, შემდეგ გოჩა აუცილებლად გააუმჯობესებს ამ შედეგს. გარდა ამისა, ის სხვა რეკორდის დასამყარებლადაც ემზადება, ასე რომ წარმატებებს კიდევ უნდა ველოდოთ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას გვერდში დგომისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ დროს ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომა და მხარდაჭერა,“ - აღნიშნა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა შოთა ქელდიშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

9 აპრილის ტრაგედია

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან 23, ხოლო 9 აპრილის ტრაგედიიდან 25 წელი გავიდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:1989 წლის 9 აპრილს მომხდარ ტრაგედიას წინ უსწრებდა 1989 წლის 18 მარტი აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში. აფხაზების მიერ გამართულ მიტინგს, სადაც აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლის საკითხი დაისვა, ქართული საზოგადოების მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

აფხაზეთში “ილია ჭავჭავაძის საზოგადოება” მიტინგებს ატარებდა. ერთ-ერთი აქციის შემდეგ სოხუმისაკენ მიმავალ ავტობუსს, რომელშიც მომიტინგეები ისხდნენ, თავს დაესხნენ (მიტინგი ანტიაფხაზური კი არა, ანტიიმპერიალისტური იყო) . 1989 წლის 2 აპრილს ამის გამო სოხუმში გრანდიოზული აქცია გაიმართა, რომელშიც ბევრი აფხაზი მონაწილეობდა. “ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ” ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკების პროვოცირების თავიდან ასაცილებლად წინააღმდეგობის ცენტრის თბილისში გადატანა გადაწყვიტა.

4 აპრილიდან თბილისში საყოველთაო გაფიცვა დღის 3 საათზე დაიწყო, როცა სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე სტუდენტების მიტინგი გაიმართა. მონაწილეები აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას მოითხოვდნენ. ამავე საღამოს, 7 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კიდევ ერთი მიტინგი მოეწყო. გადაწყდა, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობისადმი ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ, საქართველოში დროებითი მთავრობა შექმნილიყო და ავტონომიური ფორმირებები გაუქმებულიყო. ამის შემდეგ მომიტინგეთა უმრავლესობა მთავრობის სახლისაკენ გაემართა. შედგა ახალი მიტინგი, რომელიც მეორე დილის 5 საათისათვის დამთავრდა, როცა ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა.

5 აპრილს აფხაზეთის პრობლემატიკამ მომიტინგეთათვის მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ორატორთა გამოსვლებში აქცენტი სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის მოთხოვნაზე გაკეთდა. ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ნაწილმა გამოაცხადა, რომ აფხაზეთის პრობლემა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მოგვარდებოდა. მომიტინგეებს თანდათან სხვადასხვა საწარმოებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები უერთდებოდნენ. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჯგუფები ჩამოყალიბდა, რომლებიც შენობებში მასწავლებლებსა და სტუდენტებს არ უშვებდნენ და გაფიცვისკენ მოუწოდებდნენ. გამოცხადდა, რომ თუ არ დაკმაყოფილდებოდა მოთხოვნა, საქართველო სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსულიყო, საყოველთაო-ეროვნული გაფიცვა და მასობრივი შიმშილობა დაიწყებოდა.

7 აპრილისათვის მთავრობის სახლის წინ უკვე საშუალოდ 10-20 ათასი კაცი იმყოფებოდა. ერთ-ერთმა ლიდერმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს მიმართა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის გამოყენება ეცნოთ.

მომიტინგეთა მოთხოვნები ხელისუფლებისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. 8 აპრილს, კრემლის ზეგავლენით, საქართველოს რესპუბლიკური აქტივის სხდომაზე მომიტინგეთა დარბევის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს. გამოქვეყნდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობები მკაცრდებოდა. ეს ბრძანებულება უშუალოდ თბილისის მოვლენების შეჩერების მიზნით მიიღეს. ყოველივე ამით კი მიტინგის დარბევის იურიდიული საფუძველი შეიქმნა.

8 აპრილსვე დღის მეორე ნახევარში გავრცელდა ხმა, თითქოს შინაგან სამინისტროს სპეციალურ ქვედანაყოფებს მიტინგის დაშლის შესახებ მითითება ჰქონდათ მიცემული. ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ლიდერების ხელმძღვანელობით მიტინგის ადგილის ირგვლივ მდებარე ქუჩების ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით ჩაკეტვა დაიწყეს. ლიდერები შეკრებილთ მოუწოდებდნენ, არ ნასულიყვნენ იმ შემთხვევამიც კი, თუ სამხედრო ნაწილები გამოჩნდებოდნენ. მათ ყურად არ იღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის — ილია მეორის მოწოდება სასწრაფოდ დაშლის შესახებ...

9 აპრილის დილისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები ბრძანების შესასრულებლად მზად იყვნენ. მომიტინგეთა დაშლა საქართველოს მილიციასაც კი არ ანდეს. მოსკოვიდან თვითმფრინავებით საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი გენერალ ეფიმოვის მეთაურობით გამოაგზავნეს. მიტინგის დარბევას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იგორ როდიონოვი ხელმძღვანელობდა. დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგეებს ალყა ყველა მხრიდან შემოარტყეს. შეიარაღებულნი იყვნენ სელკეტებით, ორლესული მახვილებითა და მომწამვლელი გაზით.

მთავრობის სასახლის წინ ასეული ჯარისკაცი იერიშით შეიჭრა და მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა. უმნეო მსხვერპლთ ალესილ ნიჩბებსა და ხელკეტებს უტრტყამდნენ შეძახილებით “სტალინისათვის!”. მიტინგი სულ რამდენიმე წუთში დაიშალა. მოედანზე მხოლოდ საშინლად დასახიჩრებული და ბარბაროსულად მოკლული ადამიანების გვამები დარჩა. 200-ზე მეტი კაცი გაზით მოინამლა, მრავალი კი - დაიჭრა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ქიმიური იარაღიც იყო გამოყენებული. ექიმები დაზარალებულებს ვერ ეხმარებოდნენ, რადგან არ იცოდნენ ამ ქიმიური იარაღის შემადგენლობა. სამხედროებმა კი, რა თქმა უნდა, ეს საიდუმლო არ გაამხილეს.

აი, რას ყვება 9 აპრილის უშუალო მონაწილე, ყველასათვის კარგად ნაცნობი ქალბატონი ლელა ვეფხვაძე, რომელიც დღეს მეტროში მლერის და თავს ასე ირჩენს:

“შიმაჩნია, რომ 9 აპრილი ამაღლებული დღე უფრო იყო, ვიდრე ტრაგიკული, რადგან ასეთი ერთიანი ქართველი ერი მე არ მინახავს. ადამიანებს შორის საოცრად თბილი დამოკიდებულება სუფევდა. მაშინ ქალი თავს ქალად გრძნობდა, კაცი -კაცად. ურთიერთობაც ისეთი ფაქიზი გახლდათ, რომ შეიძლება ცრემლი მოგრეოდათ, რასაც დღევანდელ ვითარებაზე ვერ ვიტყვი. დღეს ხალხი ძალიან აგრესიულია.

რაც შეეხება უშუალოდ 9 აპრილს, იმ დღეს ჩემს გარდა კიდევ სამი უსინათლო მღეროდა: დონარა ცხადიაშვილი, ნარა კილაშვილი, თინათინ ბირკაძე. ეს პიროვნებები ახლა ცოცხლები აღარ არიან. მიტინგზე ოთხი დღის განმავლობაში დავდიოდით, უმეტესად ღამე, რადგან ამ დროს ადამიანებს ყველაზე მეტად უჭირდათ და, როგორც თვითონ გვეუბნებოდნენ, სიმღერით მათ ძალიან ვამხნევებდით. ჩვენს დანახვაზე ხალხი ინსტინქტურად ორად იყოფოდა და გვატარებდა, რადგან იცოდნენ, იქ მივდიოდით იმისთვის, რომ მათთვის გვემღერა, ძალა მიგვეცა. ეს საოცრად დიდი სიყვარულის პერიოდი გახლდათ. იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, დიდი ხანი ვიმღერეთ. როდესაც უნმიდესი მობრძანდა და თქვა, საფრთხე რეალური იყო, მომიტინგეების თხოვნით კიბეებზე ავედით. ჯერ გვკითხეს, ხომ არ გვეშინოდა. შიში ახლაც მიუღებელია ჩემთვის და მითუმეტეს, იმ დროს, როცა ახალგაზრდა გახლდით და რისკის ფაქტორიც მეტი იყო. სწორედ მაშინ ვიმღერეთ “შავლეგოც” მერაბ კოსტავას თხოვნით. როცა ტანკების ხმა გაისმა, ვიღაცამ დაიძახა, გოგოებო, დაუკარით, სალაღობო იმღერეთ, მტერს სალაღობოთი შევხვდეთ და ასე დავიხოცოთო. სიმღერა ბოლომდე შევასრულეთ, თუმცა 9 აპრილის კადრებში ეს არ ჩანს, რადგან მიკროფონი გაწყდა. ხალხი რომ კიბეებს მოაწყდა, ძალაუნებურად ჩვენ კედელთან აღმოვჩნდით. წუთით ისიც ვიფიქრე, რომ მოვკვდი, რადგან სუნთქვა გაუსაძლისი გახდა. მაშინდელი მილიციის კორდონს გავყევი და სამშვიდობოს გავაღწიე. საშინელი განცდა იყო. საზარელი ფეხის ხმა ყურში დღემდე ჩამესმის. ვფიქრობ, რომ დალუპულთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე ოფიციალური მონაცემებითაა დადგენილი, რადგან იმ ღამეს I საავადმყოფოში მოვხვდი და იქ გაცილებით ბევრი მიტინგზე დალუპული ადამიანი მიიყვანეს. ისიც ნამდვილად ვიცი, პარლამენტის წინ რომ აუზია, მის ირგვლივ სულ მიცვალებულები იყვნენ დასვენებული.

სამშობლო ძალიან მიყვარს. იგივე რომ განმეორდეს, მაინც იქ ვიქნები. რომც მცოდნოდა, სიკვდილი მელოდა, მაინც წავიდოდი. ქართველები ძლიერები ვართ. გვილხინს თუ გვიჭირს — ვმღერით და ღმერთმა ერთხელ სალხინოდ გვამღეროს, მე ეს ნატვრა მაქვს და თუ მოვესწრები ამას, ბედნიერი ადამიანი ვიქნები.”

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა,

თბილისში მშვიდობიანი მიტინგის დარბევამ მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია, რაც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ეროვნული მოძრაობის აგორებისა და ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

„ცოცხალი პოეტი“ და უხანჯლო ხევსური

ცნობილ პოეტსა და შემოქმედს გაბრიელ ჯაბუშანურს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. ხევსური პოეტი დიდუბის პანთეონში განისვენებს და იქიდან შეღაღადებს მამაზეციერს ხევსურულ დაცარიელებულ სოფლებსა და მშობლიური არხოტის შველას.. მისი ლექსები გამსჭვალულია პატრიტიზმითა და მშობლიური ხალხის უსაზღვრო სიყვარულით.

გთავაზობთ ჩვენი ყოფილი კოლეგის **უშანგი წყარუაშვილის** მოგონებებს თავის უფროს მეგობარზე–გაბრიელ ჯაბუშანურზე, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა წითელწყაროს რაიონი, რადგან მისი დაეთერი აქ ცხოვრობდა. დღესაც აქ ცხოვრობენ მისი დის შვილები ოჯახებით.

უნცრუანთ გაბრიელი

სამამულო ომი ახალი დამთავრებული

იყო. ერტთ დრეს სკოლის დირექტორმა, რომელიც ქართულსაც გვასწავლიდა, გაგვაფრთხილა: ხვალე ჩვენტან მეგობარი მასწავლებელი, უნცრუანთ გაბრიელი მოვა და გაკვეთილები ყველამ კარგად ისწავლეთო, ამასთანავე გაბრიელი ლექსებსაც სწერს და რომელიმე კარგ ლექსს თუ დაიზეპირებთ, ამას რაღა აჯობებსო. დირექტორის-გოგი ფირანიშვილის-ეს სიტყვები გულში ისე ჩამრჩა, რომ მთელი ღამე თითქმის არ მძინებია. თან მახსენდებოდა ხევსური თანაკლასელის სიტყვები, -უნცრუანთ გაბრიელი ხევსური პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური არისო. რასაკვირველია, ორი კარგი ლექსიც დავიზეპირე.

მეორე დღეს დრო თითქოს ნელა გადიოდა. ყველას ყურადღება კარებისაკენ იყო მიპყრობილი.

უცებ საკლასო ოთახის კარი მასწავლებელმა ქალმა შემოხსნა და დირექტორს მოახსენა, სტუმარი გკითხულობთო.

დირექტორმა გადმოგვხედა, გაგვაფრთხილა, წყნარად იყავით, სტუმარს აქ შემოვიყვანო.

ლოდინის წუთები გაიწელა. ვფიქრობდი, სადაცაა კარს სემოაღებს ვეება ტანის, მძიგებითა და ფულებით აჭრელებული პერანგიანი, ხევსურულად ჩაცმული -ქამარხანჯალი გამოწყობილი კაცი, რომელსაც წარბს ზევით ნაჭრილობევი ექნებოდა. „ცოცხალი პოეტი“ მანამდე არ მენახა და რაოდენ გაოცებული დავრჩი, როცა კლასში შემოვიდა დაბალი, თხელი აგებულობის „ცარსკებითა“ და გარიბალდური ქუდით ოცდაათიოდე წლის კაცი. გაბრიელი ხევსურული კილოთი მოგვესალმა და გვითხრა: ლექსებს თუ ვინმე წერსო. ყველამ თავი ჩაღუნა.

- აბა, ლექსებს თუ არ წერთ, მაშინ უნდა იკითხოთო და გარედან ხურჯინი სემოათრია. იქიდან ამოიღო სამი წიგნი და დირექტორს მიუბრუნდა:

- ვინც ამ ჯგუფში ყველაზე ბეჯითი მოსწავლეა, იმათ მიეციო.

პირველად მაშინ შემოვირტყი თავში ხელი.. წიგნი რომ არ შემხვდა.

როგორც უკვე ავღნიშნე, მაშინ პირველად ვნახე გაბრიელ ჯაბუშანური, „ცოცხალი პოეტი“ და უხანჯლო ხევსური.

ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ გაბრიელ ჯაბუშანური ჩვენი სკოლის ხშირი სტუმარი იყო. თბილისიდან ისე არ გამოივლიდა, რომ მეგობრი გოგი ფირანიშვილი (ჩვენი ქართული მასწავლებელი) არ მოენახულებინა და მოსწავლეებისათვის ორი-სამი წიგნი არ ჩამოეტანა.

იმ წლები გაბრიელი მთლიანად მოსწყდა სამწერლო ასპარეზს, რადგან ხევსურთა ექვს სოფელში იგი ჰყავდათ ერთ-ერთი დიდი მოირნახულე, ახალგაზრდობის გზის მიმცემი და ყველაფერში დამხმარე და შემწე.

გაბრიელი კოლმეურნეობის თავჯდომარედ აირჩიეს, მაგრამ შემოქმედი კაცი, რომელიც პოეზიით ცოცხლობდა, ვერ შეეგუა სამეურნეო საქმიანობას და ერთ მშვენიერ დღეს კოლმეურნეობა ყოველგვარი ცერემონიის გარეშე , თავის ძმას, ციცკას გადაულოცა.

ამ შემთხვევის გამო, რაიონის ხელმძღვანელობა ჯერ გაბრაზდა, მერე იცინა, მერე ისევ გაბრაზდა, მაგრამ ყველასათვის საყვარელ გაბრიელს- მკაცრი არაფერი უთხრეს.

გაზაფხულს ერთ დღეს სკოლის დირექტორმა მითხრა, გაბრიელს უნდა გაჰყვე სოფელში და წიგნების წაღება უნდა უშველო ცხენითო.

სოფელში საღამო ხანს მივედით. ხურჯინები ახალგაზრდებმა ჩამოხსნეს და წარმოიდგინეთ, რომ სახლში არც ერთი წიგნი არ სეგვიტანია: ყველა მათგანი სოფლის ახალგაზრდობას დაურიგა.

გაბრიელის ბიბლიოთეკაში ხუთიექვსი ათეული წიგნი თუ იდო. პასუხად გაბრიელმა მითხრა: მთიელ ახალგაზრდობას ცოდნის წყარო უნდა, ეს წყარო კი წიგნებშია, რითაც მე ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, ისინი დავაკმაყოფილოთო.

თაროზე დაწყობილი წუგნების უმრავლესობა კი ავტორთა მიერ იყო ნაბოძები გაბრიელისადმი.

უკანასკნელად გაბრიელი მეგობრებმა თბილისში მოვინახულთ. დიდად გაიხარა. დაღლილ გაბრიელს გასეირნება შევთავაზეთ. ორ საათში ჩარგალში ამოვყავი თავი. ვაჟას წყარო დავლიეთ. დათვის ჯვრიდან მდინარე არლუნს გადავხედეთ, ხახმატში შინაური ატაყი დავლიეთ და გაბრიელმაც ამოიდგა ენა. გრძნობით წაგვიკითხა თავისი თანატოლის ლადო ასათიანის ლექსი:

„ისევ მომინდა ჩემი სოფელი,
ხალხურ ლექსებით და საკრავებით
ეზოში-,წვანე და უშობელი
და მოკუნტრუშე თეთრი კრავები“.

- მომინდა ჩემი არხოტიონი, თვალცრემლიანი გაბრიელი შემოგვყურებდა, მთის ქუჩი ბალახით გატენილ ბანდულში ფეხის ჩადგმა. სიზმარში ყოველთვის მთებში ვარ. კლდის ქიმიდან ჯიხვის რქის ანარეკლს ვხედავ, არწივის მიერ მოტაცებულ ბატკანს გაფატრულ გულ-თვიძლს ვუმთელებ, მყინვარწვერის გარშემო შემოხვეულ ნისლში დავცურავ. ვეკამათები ვაჟას, ყაზბეგს, ჩემი მზექალა მეძახის:

წამოდი ნუღა აყოვნებ
გორზე გველიან სწორები!
დათგუნე სამგლე, საყორნე-
გლოვა გულს განასწორები“

მთები მეძახიან ბიჭებო, მთები! იყო მთის კაცი, მართლაც რომ საამაყოა“

- ხელების გასლით წარმოთქვა ეს სიტყვები გაბრიელმა და ფეზხე წამოდგა..

გამხდარი სახის ნაკვეთებიდან ცეცხს აფრქვევდნენ ხევსურის თვალები...

თბილისში რომ დავბრუნდით, გაბრიელის მეუღლე, ქალბატონი სარა სეგვეგება, ხომ არ დაიღალეო, მიეკრა გაბრიელს. პასუხის ნაცვლად გაბრიელმა მეუღლეს სთხოვა, ჩემი საქაღალდე მომიტანეო. გაბრიელმა საქაღალდე გადაშალა, იქიდან სურათი ამოიღო და წაანერა:

გაბრიელ ჩაფიქრებულა,
საფიქრალ აქვს ბეჩავსა
არხოტი მონატრებია,
გულს სწორედ ეგა სჩხვლეკავსა.

შემდეგ საქაღალდიდან ფურცელი ამოიღო და ჩემდამი მოძღვნილი ლექსი წაიკითხა:

უშანგის!

უშანგი შენც მთის კაცივით
გაქვს მაო ბედის ტრიალი,
რადგანაც ძოგნატრებია,
მთა, ცხორი, თერგის ღრიალი.
ამოლესილი კლდე-ღრენი,
მზეზე მეინვარის ჭრიალი,
ქიზიეში დასახლებულხარ
ეზო-ეურე გაქვს მზიანი.
იცოცხლე, ძრავლას გეჭირდება
ხალხს შენებრ ადამიანი.
იჩქარე უსვად დაწერო
მოთხრობა, ლექსი ფხიანი.
გაბრიელ არ დაგაივწუდეს,
ლუდ მე შეგასვი სვიანი,
იცოდე ზურგს შეგაქცევენ
დგია, დეკა და იანი.
გაბრიელ ჯაბუშანური

შესანდობარი

დეკემბრის სუსხიანი საღამო იყო. დიდუბის პანთეონში საფლავზე ახლადმიყრილი მიწა უკვე შეეყინა. მოკლე ხანში ზედ მიმოფანტული ცოცხალი ყვავილებიც დამზრალიყვნენ.

ჩვენსავით გვიან გაეგო გბრიელის სიკვდილის ამბავი შიოლა წიკლაურსაც. ცრემლი ღაპა-ღუპით ამოსდიოდა - ამ ქვეყანას რომ ვხედავ, შენი სიკეთის მადლიაო. - ტიროდა ახალგაზრდა კაცი, რომლისთვისაც გაბრიელმა მართლაც, რომ სიკეთე ქმნა და მარტო მისთვის? რამდენი ახალგაზრდა ხევსური დაუყენებია მას სწორ გზაზე, მიუცია გასაქანი სწავლას-განათლების მისაღებად.

სწორედ ამ დღეს გამოვეთხოვეთ უკანსკნელად გაბრიელ ჯაბუშანურს, უფრო სწორად მის საფლავს, რადგან ვერ ჩავუსწარით მის დაკრძალვას.

შიოლამ უბიდან ამოიღო ცხვირსახოცში გახვეული ხევსურეთიდან ჩამოტანილი მიწა და მიმოაბნია გაყინული საფლავის ზედაპირს. შინაური არაყით უკანასკნელი შესანდობარი დავლიეთ გაბრიელისა.

სიკვდილამდე მთები იყო მისი სიცოცხლის წყარო:

...შავ ქარაფს შევეხიზნები,
შორს ჩემგან კვდომის უკუნო,
სალო, სულ ახლოს ვიქნები,-
თუნდაც უტყვი და უგულო!
მხოლოდ არ გინდა: მიწის ქვეშ
თვალს სიერცე გადავუხურო,
დე, კლდესთან კისერს ვიწვდიდე
და მთების ზეცას ვუყურო!

გაბრიელ ჯაბუშანური, რომელიც ახლა 100 წლის იქნებოდა, იყო კაცი, რომელსაც ხევსურებისა და მთა-მთიულების სიყვარულში საკუთარი თავი დაავიწყდა.

მარტი ხომ ჩვენი თვეა...

შაბათს, 15 მარტს უჩვეულო ჟრიამულით აივსო მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. როგორც იქნა გამოიდარა. გიჟმაჟმა მარტმა ჩვენი ჩანაფიქრი ცოტა მოგვიანებით შეგვასრულებინა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად სალაშქროდ გავეშურეთ. ელიის კალთებზე შეფენილმა ბავშვებმა უამრავი ლამაზი ყვავილი დაკრიფეს, თაიგულებად შეკრეს და ბებიებს, დედებს, დებს მიართვეს. სახელდახელოდ გამართულ “სალაშქრო” კონცერტში აქტიურად მონაწილეობდნენ-ეკა მაჭარაშვილი, მადინა ღანიშაშვილი, ანა გიგაშვილი, ვეფხო და ლაშა ლიქოკელები, ნინო ხეტეშვილი, სონია ნატროშვილი, თამარ ბოლაშვილი. მანანა ბიკაშვილის მიერ ფანდურზე შესრულებულმა სიმღერებმა არამარტო ჩვენ, არამედ იქ მომუშავე მუშებს და მოსულ სტუმრებსაც მოჰგვარა სიამოვნება. ზურა ხეტეშვილმა მოგვიყვა ლეგენდა ელიის მთის შესახებ. ეთიკო ლიქოკელმა დიდი გრძნობით წაიკითხა სევდიანი, მაგრამ ცხოვრებისეული ლექსი შვილზე, ვისაუბრეთ დედაშვილობაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე, რწმენაზე, ავანთეთ სანთლები და გულით შევთხოვეთ, ყველა დედის ბედნიერება, ყველა შვილის კარგი შვილობა.

ერთი ლამაზი დღით დაღლილები და კმაყოფილები დავბრუნდით სახლებში.

ჩემი ოთხივე შვილი თქვენი სახლის აქტიური წევრია. მინდა, ყველა მშობლის სახელით, მადლობა გადავუხადო მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორს ირმა ბენაშვილს, ყველა პედაგოგს , ჩვენი შვილებისათვის უანგაროდ გაწეული შრომისათვის, სითბოსათვის, ყურადღებისა და დიდი სიყვარულისათვის.

თქვენც გილოცავთ ქალთა თვეს და უფრო მეტი ლამაზი და სასიკეთო საქმეების გაკეთებას გისურვებთ.

მშობლების სახელით
ლია ლიქოკელი

ლამაზი სულის პოეტი

პოეტი განძია,- ეს სიტყვები ჩვენი წერილის გმირის ეკა ჯავახიშვილი ერთ-ერთი ლექსიდანაა მოხმობილი და ალბათ უპირველესად თვით მასზეა ზედგამოჭრილი ეს ნათქვამი. ეკა მნახველს პირველ რიგში თავის სიმშვენიერითა და მომხიბლავი გარეგნობით იპყრობს ნაცნობისა თუ უცნობის ყურადღებას, როცა გაიგებთ, რომ ეს მშვენიერი ქალბატონი ლამაზი სულის ადამიანია და პოეტური სენით არის დაავადებული ბალღობიდანვე, უფრო გხიბლავთ და გიხარიათ, რომ მისი ნაცნობი, ახლობელი თუ თანამოკალმე ხართ.

ეკა რამდენიმე წლის წინ გავიცანი,როცა თავისი ლექსების პირველი კრებული „სიყვარულის ქარცეცხლი“ გადმომცა როგორც კოლეგას და თანასოფლელს.

სულ ახლახანს გამოვიდა მისი ლექსების ახალი კრებული „თითქოს, უშენოდ არც მიცხოვრია!“ რომლის სამზეოზე გამოსვლა ბატონ ზაზა გამგებლის დიდი ქველმოქმედების კიდევ ერთი დადასტურებაა. ამ წიგნის რედაქტორია ჩვენი თანამემამულე, ნატო აფაქიძე-ყატაშვილი, რომელიც გულწრფელ და გულითად სიტყვებს არ იშურებს თანამოკალმის მიმართ.

თუ როგორ ლამაზად და მიმზიდველად გადმოსცემს ეკა თავის განცდებსა და გრძნობებს,ამის საილუსტრაციოდ და მკითხველთა საყურადღებოდ მინდა, ამ მშვენიერი ლექსების კრებულიდან ერთი პატარა ლექსი მოვიყვანო, რომელსაც უძღვნის თავის ძმისშვილს:

„ინდი-მინდი, ფერად შინდი,
როგორც იქნა მეც დავმ-
შვიდდი.
მეავს ლამაზი გოგო ციდა,
მოწყვეტილი მზეა ციდან.
სიხარული ვიგრძენ მეცა,
გაჩნდა რაც ეს მატრაკვეცა.
ჩემი მზე და ჩემი მთვარე,
ღმერთო, მუდამ დაიფარე.“

ჭეშმარიტად, ლამაზად, სხარტადაა ნათქვამი. ბევრი ასეთი მშვენიერი ლექსები და სტრიქონებია ამ წიგნში. მწამს, მკითხველი კმაყოფილი დარჩება მისი წაკითხვით.

ჯუმბერ უთრუთაშვილი

უხარისხო საკვები - ნელი მოქმედების ნაღმი

ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტუალური ხდება მოსახლეობის კვებასთან დაკავშირებული საკითხი. რამდენად უსაფრთხოა ის პროდუქტები, რომელთაც საკვებად ვიყენებთ, ამის გარკვევას გაზეთი "შირაქი" შეეცადა.

მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. უკვე წლებია, ყველამ იცის, რომ მაღაზიაში ნაყიდი პროდუქტით შეიძლება მოიწამლოს. ამიტომ ცდილობს, "ამ პრობლემას თავი ბაზარში გამოტანილი ნატურალური პროდუქტით დაალწიოს. თუმცა, რამდენად სასარგებლოა ბაზარში გასაყიდად გამოტანილი ბოსტნეული, ესეც საკამათო თემაა.

ალბათ ყველას შეგიძენიათ ბაზარში კიტრი, პომიდორი და სხვა ბოსტნეული და ბევრჯერ წამოსულხართ სახლში დაიმედებული, რომ ამ შემთხვევაში მაინც ოჯახში სასურველი პროდუქტი წამოიღეთ, რომელიც არც გაყინულია, არც ბალზამირებული და არც დაცემული საქონლის ხორცისგან დამზადებული, რომელშიც არც სხვა რაიმე მინარევები ურევია, მაგრამ ამ ბოსტნეულისგან გაკეთებული კერძი რომ არ ყოფილა სასარგებლო და მას შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც გამოუვლენია ჩვენი ჯანმრთელობისთვის არასასურველი, გვერდითი მოვლენები, ესეც ცხადად შეგვიმჩნევია, ისიც შეგვიმჩნევია, რომ ლობიოს ან ბარდას აღარ აქვს ისეთი გემო, წლების წინ, გაჭირვების ჟამს ბებიას რომ მოუხარშავს ძველებურ სპილენძის ქვაბში...

დღეს ბევრი ადამიანი საუბრობს, რომ კიტრს კიტრის გემო აღარ აქვს და პომიდორს- პომიდვრის და თქვენ წარმოიდგინეთ, პურსაც კი აღარ აქვს ის განუმეორებელი სურნელი და გემო... თუმცა, ეს ცალკე ტრაგედიაა, ტრაგედიაა ისიც, რომ შირაქის ბარაქიანი მიწის მფლობელი ქიზიყელი კაცი თავის მოყვანილ ხორბლის პურს კი აღარ მიირთმევს, არამედ ვინ იცის, სად და რომელ ქვეყანაში წარმოებული ფქვილისგან დამზადებულს....

უხარისხო პროდუქციის მიღებას კი ყოველთვის აქვს თავისი უარყოფითი შედეგი. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ დღეს უკვე აღარ არსებობს ადამიანი, რომელსაც კუჭნაწლავის პრობლემა არ აწუხებდეს.

-„დიასახლისი ვარ და ყოველთვის ვფიქრობ, ისეთი რამე შევიძინო, რაც ვიცი, რომ ნამდვილად ნატურალურია და არანაირ ქიმიურ ელემენტს არ შეიცავს, რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთ მაღაზიაში ერთი კილო ლობიო იმ იმედით შევიძინე, რომ ოჯახის წევრებს ნატურალური პროდუქტით გამოვკვებავდი. თუმცა შევცდი, უპირველეს ყოვლისა, როდესაც ქვაბში მოთავსებამდე მისი მარცვალი გავარჩიე და გავრეცხე, ერთი მუჭა "ღრავის "კენჭები გავაცალე, როგორც ჩანს, კენჭებს კილოგრამების მომატებისთვის ურევენ, წარმოიდგინეთ, ერთ კილოს რომ ერთი მუჭა აღმოაჩნდებოდა, მთლიან ტომარაში რამდენი კილო "ღრავი" იქნებოდა ჩაყრილი?! მეორე ეტაპი მისი მოხარშვა იყო, თუმცა ფაქტია, რომ განკუთვნილ დროზე ორი საათით კიდევ მეტ ხანს დასჭირდა ხარშვა, მაგრამ მაინც ვერ მივიყვანე იმ ნიშნულამდე, სათანადოდ მოხარშულიყო, ესეც არ იყოს, მისი ჭამა და ოჯახის ყველა წევრის მუცლის ატკიება ერთი იყო. აქედან გამომდინარე დასკვნა გამოვიტანე, რომ დღეს ნატურალური პროდუქტიც აღარაა სანდო. ის კი არა, გავიგე, თურმე შაქარში ფქვილივით დაფქულ თეთრ ქვიშას ურევენო, მერე კი ყველაზე პრესტიჟურ ბრენდს, „აგარის" შაქრის იმიჯს ეფარებიანო და მის სახელწოდების ქვეშ კარგადაც ასაღებენო, დღეს ხომ ყველა მხოლოდ აგარის შაქარს ეტანება, რადგან ნდობა მაღალია, აქაც გაუფუჭებიათ საქმე. მიხვალ საყიდლად და შესაძლოა, მთლად უხარისხო შაქრის ფხვნილს „აგარის" შაქარი ეწეროსო. რამდენჯერმე შევნიშნე, ჩაიში შაქრის ჩაყრის შემდეგ, ჩაის ზედაპირზე თეთრი ქაფი გაუკეთდა, ამ ხნის ქალი ვარ და ამნაირი შემთხვევა არ მქონია. ერთხელ სადღაც ვთქვი და ქალბატონებმა მითხრეს, ნუთუ დღემდე არ გაგიგიაო, შაქარში წონის მომატების მიზნითდაფქულ თეთრი ფერის ქვიშას ურევენ და ამიტომ ქაფდებაო...

მე ჩვენი წყლის სისუფთავეს კი არ ვაყენებ ეჭვქვეშ, ვიცით, რომ სუფთაა, მაგრამ იმისთვის, რომ ჯანმრთელობა დავიზღვიოთ, აღარც ონკანის წყალს ვსვამთ, მხოლოდ ვყიდულობთ. მით უფრო იმ ფონზე, როცა ჩვენი წყლის ვარგისიანობის საკითხი ყბადაღებული თემაა- ის რაც არ უნდა სუფთა იყოს, კირქვას შეიცავს და რაღაც გზით მაინც ილექება ჩვენს ორგანიზმში,"- აცხადებს ჩვენთან საუბარში ერთ-ერთი დიასახლისი.

ცხადია, ეს ყველაფერი გაცილებით მწვავედ გამოიხატება მცირეწლოვან ბავშვებში, მოზრდილი ადამიანის ორგანიზმს იმუნიტეტი გაცილებით ძლიერი აქვს, ბავშვებს კი- სუსტი. მოზარდს ათასგვარ ვირუსთან გამკლავება უწევს, ამიტომ ადვილად ურყევთ ჯანმრთელობას ყველა ის არასასურველი საკვები პროდუქტი, რომელიც მათ კუჭ-ნაწლავში ექცევა.

> « ჩვენი ფერმერები პესტიციდებით ცდილობენ მაღალი ხარისხის და რაოდენობრივად მეტი მოსავლის მიღებას, კახელი ფერმერები არღვევენ რეგლამენტით გათვალისწინებულ ნორმებს სასუქის შეტანის დროს და შეაქვთ იმაზე მეტი სასუქი, ვიდრე ეს რეკომენდირებულია. სწორედ ეს არანორმირებული დოზების გამოყენება იწვევს შემდეგ სავალალო შედეგებს...

იაშვილის კლინიკის ექიმი-პედიატრის, პროფესორი ნანა ჩიხლაძის თქმით, ბოლო დროს 1-15წლამდე ასაკის ბავშვებში ხშირია კუჭნაწლავის ანთებითი პროცესის განვითარება და დისბაქტერიოზი, იგი აღნიშნავს, რომ მართალია, ბავშვობის ასაკი ის ასაკია, როცა კუჭნაწლავი ჩამოყალიბების პერიოდშია და ეს ბავშვებისთვის თანდაყოლილი პროცესია, მაგრამ იმ ფონზე, რომ ხშირია ვირუსული დაავადებებით იმუნიტეტის დაქვეითება და კვებით დაკარგული იმუნიტეტის შევსების პროცესი, გასათვალისწინებელია კვების რაციონში შემავალი პროდუქტის ხარისხიანობაც. აღნიშნულ დაავადების წინაპირობად ქალბატონი ნანა სწორედ არაჯანსაღი საკვები პროდუქტით გაჯერებულ ბაზარს ასახელებს. —„ბოლო დროს ძალიან ხშირი მომართვიანობა გვაქვს ბავშვებში მუცლის მოვლითი ტკივილების ჩივილით, აღნიშნულ გარემოებას ზამთრის სეზონზე განვითარებულ ვირუსულ ფონსაც მივაწერთ, რომლის შემდგომი ეტაპი ყველაზე ძნელადგადასატანია ბავშვებში, რადგან ამ დროს ორგანიზმში იმუნური სისტემა ძალიან დაბლა ეცემა და სუსტი იმუნიტეტის ბავშვებს ყველაზე მეტად უჭირთ გამკლავება. არსებობს მეორე და არანაკლებ ყურადსაღები მომენტიც, დღეს ხომ ბაზარი არაჯანსაღი პროდუქტითაა გაჯერებული და აღარ ვიცით, ეკოლოგიურად რამდენად სუფთა პროდუქტს ვჭამთ. ხანდახან ვერიდებით და არ ვიძენთ საკვებად ხორცს სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო და ვიძენთ ბოსტნეულს, მაგრამ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ისიც არანაკლებ საზიანოა. ის პესტიციდებით ნაკვებ ნიადაგშია მოყვანილი, რომელიც ბევრად უფრო საზიანოა ორგანიზმისთვის და არანაკლებ ღრმა კვალს ტოვებს ბავშვის ჯანმრთელობაზე. დღე არ გავა, რომ ოცი გასინჯული ბავშვიდან თორმეტს კუჭ-ნაწლავის დარღვევა არ აღმოაჩნდეს, ხშირია, როცა ბავშვებში ფიქსირდება მუცლის ღრუს რომელიმე ორგანოს გადიდება. ამის წინაპირობად შეიძლება უამრავი რამ ჩაითვალოს, შესაძლოა, ეს პროცესი ვირუსულმა ფონმა გამოიწვიოს, სავსებით დასაშვებია, რომ ეს გაციებამ ან ანთებითმა პროცესმა გამოიწვიოს, რიგ შემთხვევაში ამ გარემოებას ჭარბი რაოდენობით ანტიბიოტიკების მიღაბაც იწვევს. მკურნალობის დანიშვნის დროს უპირატესობას ვანიჭებთ ნაკლებ მედიკამენტებს და კვების რაციონის გაჯანსაღებას. დედას კი ვავალდებულებთ, რომ მუდმივ კავშირში იყოს ჩვენთან, რათა კიდევ შეეძლოს კითხვა და დაზუსტება, რა შეიძლება მიაღებინოს თავის შვილს და რა არა, თუმცა დღევანდელი პირობებში რომ ჭირს რაიმე ნატურალურის და ჯანსაღის შეძენა, ისიც ცხადია, ბაზარი გაჯერებულია უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქციით, გეუბნებიან კახეთიდანაა პროდუქტი, მაგრამ იქვე ინსტიქტურად ხვდები, რომ პროდუქტი არაა ქართული,თუმცა სხვა გამოსავალი არ არის, ესეც ჩვენი დღევანდელობის მწარე რეალობაა,"- აღნიშნავს ექიმი- პედიატრი ნანა ჩიხლაძე.

რამდენად დაცულია დღეს ქართული ბაზარი ფალსიფიცირებული თუ უხარისხო პროდუქციისგან, რამდენად ხორციელდება შესაბამისი კონტროლი, ამასთან დაკავშირებით ჩვენ სურსათის უვნებლობის სააგენტოსგან მოვითხოვეთ ინფორმაცია. თუმცა ,მანამდე გავეცანით სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ თავის საიტზე გამოქვეყნებულ იმ შემოსულ პროდუქტთა ჩამონათვალს, რომელიც მათ მიერ შემოწმებული და კონტროლირებულია. აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნებიდან საქართველოს ბაზარზე შემოსული პროდუქტიდან ძირითადად შემოტანილია მხოლოდ ქათამი, კვერცხი, კვერცხის ფხვნილი, ღორის ხორცი, საქონლის ხორცი და კამეჩის ხორცი. აქედან ქათამი და კვერცხი ჩვენს ქვეყანაში შემოტანილია სომხეთიდან, უკრინიდან, მოლდოვადან და რუსეთიდან. ღორის და საქონლის ხორცი ბელორუსიიდან, კრასნოდარიდან და ჩინეთიდან, ხოლო კამეჩის ხორცი ინდოეთიდან.

ამჯერად ჩვენს ინტერესს შეიცავდა არა შემოსული პროდუქტების ხარისხი, არამედ ისეთ პროდუქტზე კონტროლი, რაც ამ ჩამონათვალში არაა დასახელებული და ჩვენ ხშირად გვგონია, რომ ქართულ სოფლებშია მოყვანილი, მაგრამ ვიცით, რომ შემოტანილია, მისი ვარგისიანობა კი- ეჭვქვეშ დასაყენებელი. მაგალითად, გვაინტერესებდა რამდენადაა შემოწმებული და შესწავლილი ჩვენს ქვეყანაში შემოსული გერმანული ან თურქული წარმოების ფქვილი, ასევე ვითომდა ჩვენი მიწის თხილი, კომბოსტო, კარტოფილი, მარცვლეულიდან კი, ლობიო და ბარდა?!- სწორედ ამ კითხვით სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს, პროფესიით ექიმ- ეპიდემიოლოგს თენგიზ კალანდაძეს მივმართეთ. მან ჩვენს მიერ დასმულს კითხვებს პასუხები სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის, ეკატერინე საყვარელიძის მეშვეობით გასცა.

-რამდენადაც ვფლობთ ინფორმაციას, თქვენი სააგენტოს მიერ შემოწმებულია ძირითადად შემოტანილი პროდუქტი, მათ შორის ქათამზე , კვერცხზე, ღორის და საქონლის გაყინულ ხორცზე განხორციელებულია მკაცრი კონტროლი. საინტერესოა, რას იტყვით დანარჩენ პროდუქტზე, მაგალითად ისეთებზე, როგორიცაა სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ფქვილი, ლობიო, მიწის თხილი, კარტოფილი, ბარდა, სტაფილო და ასე შემდეგ, რაც არანაკლებ გასათვალისწინებელია, რადგან მოსახლეობის უმეტესობა ბოსტნეულზეა გადასული სწორედ იმ ნიშნით, რომ სასარგებლოთი იკვებონ, თუმცა ხშირად საწინააღმდეგოს აწყდებიან, რამდენად სანდოა და რამდენად შემოწმებულია ბაზარზე გამოტანილი ჩემს მიერ ჩამოთვლილი პროდუქტები?

-„მინდა მოგახსენოთ, რომ ყველა ის პროდუქტი, რომელიც შემოდის და ჩვენს ქვეყანაში იმპორტს ქმნის, შემოწმებულია და აბსოლუტურად სანდოა,თუმცა არის მეორე მომენტიც, არ გავიდეს ქსელში და არ გაიპაროს ვადაგასული პროდუქცია, რაზეც ასევე მკაცრ კონტროლს ვაწესებთ. თუ როგორ ვებრძვით ამას?- ცხადია, ნაშთს ვიღებთ ადგილიდან და ჯარიმებს ვწერთ.

-მე მაინტერესებს, ჩემს მიერ ჩამოთვლილი პროდუქტი თუ მოწმდება შემოტანის დროს, რადგან მე ვერსად ვნახე, გაკონტროლებული ყოფილიყოს თურქული სტაფილო, ან გერმანული წარმოების ფქვილი, ან თუნდაც შაქარი „აგარა"!

-დავამატებ მხოლოდ ერთს, რომ იმპორტირებული პროდუქტი ბევრად უფრო სანდოა, ვიდრე ადგილზე, საქართველოში წარმოებული თუნდაც კახური მარცვლეული ან კარტოფილი, კიტრი, პამიდორი, თუ ლობიო. არადა საქართველოს ბაზრის თითქმის დიდი ნაწილი კახეთიდან მარაგდება ბოსტნეული კულტურით. მინდა მოგახსენოთ, რომ ადგილობრივი ნაწარმის ლაბორატორიული კვლევა ბევრად სავალალო შედეგებს იძლევა, ვიდრე შემოტანილის, ეს გამოწვეულია, იმით, რომ ჩვენი ფერმერები პესტიციდებით ცდილობენ მაღალი ხარისხის და რაოდენობრივად მეტი მოსავლის მიღებას, კახელი ფერმერები არღვევენ რეგლამენტით გათვალისწინებულ ნორმებს სასუქის შეტანის დროს და შეაქვთ იმაზე მეტი სასუქი, ვიდრე ეს რეკომენდირებულია. სწორედ ეს არანორმირებული დოზების გამოყენება იწვევს შემდეგ სავალალო შედეგებს, ადამიანებში ავადმყოფობას და ა.შ. ვფიქრობ, რომ ფერმერებში ცნობიერების ამაღლებაა ამ კუთხით საჭირო, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაიცნობიერონ, რომ დიდი რაოდენობით პესტიციდების შემცველი პროდუქცია არ უნდა აწარმოონ, წინაარმდეგ შემთხვევაში ჩვენ რაიმე მექანიზმს შევიმუშავებთ, რომ მათი პროდუქცია დახლზე ვერ მოხვდეს. ისინი ფიქრობენ ფულზე და შემოსავალზე და სულ არ აინტერესებთ, ამ საკვების მიღება რამდენად აზარალებს ისევ და ისევ თავის თანამემამულეებს. უცხოეთში ეს რეგლამენტი სასუქის ზომიერი შეტანის აუცილებლობა დაცულია და არც არის ხშირი ცდომილება მათ პროდუქტში, ქართველ ფერმერებს კი ვარაფერი გავაგებინეთ. თუნდაც აიღეთ ატამი, ატმის ბაღებს იმდენ სასუქს უყრიან კახელი გლეხები, რომ ლამის მოუმწიფებელი ნაყოფი ძირს უცვივათ, თავადაც ზარალდებიან, წაგებაზე მიდიან, მაგრამ მაინც არ ეპუებიან. ხშირად სწორედ ხილით ხდება ბავშვებში მოწამვლები.

-ანუ, თქვენ ამბობთ, რომ კახური ხილი, ბოსტნეული და მარცვლეული ბევრად არასანდოა, ვიდრე შემოტანილი?

-კი, შემოტანილზე ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი და ყველა ნორმის დაცვით კონტროლდება , უვარგისს ნამდვილად უკან ვაბრუნებთ, ამიტომ, თუ დღევანდელი ბაზარი ისევ არასტანდარტული პროდუქტითაა გაჯერებული, ისევ შიგნით წარმოებულ პროდუქტში უნდა ვეძებოთ მიზეზი. ეჭვის ალბათობა კი, საკმაოდ მაღალია. ჩვენი ფერმერები არ ითვალისწინებენ მიწის დამუშავებისთვის რეკომენდირებულ ზუსტ წესებს და აქვე ირღვევა ადამიანის უფლებაც, იყიდონ ნაკლებადქიმიური ნივთიერების შემცველი პროდუქტი.

- მე მჯერა ამის, მაგრამ მოსახლეობას არ სჯერა, ხშირ შემთხვევაში ისინი ხელს შემოტანილი პროდუქტისკენ იშვერენ და არასასურველი პროდუქტის მიზეზსაც შემოტანილში უფრო ხედავენ. თქვენი სააგენტო ამოწმებს თუ არა ადგილობრივი წარმოების პროდუქციას და თუ ასეა, რომ კახეთში მოყვანილი ხორბალი უფრო პესტიციდირებულია, ვიდრე თურქეთიდან შემოტანილი, რა ხდება ამ მხრივ, მაშინ რატომ უშვებთ ბაზარზე ასეთ პროდუქტს?!

- ეს პრობლემა, რაც თქვენს

(გაგრძელება გვ.8)

აგროქიზიყი AGROQIZIKI
თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა!

მზესუმზირის ჰიბრიდის „სანაი“-ს მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია.

სარეველებთან ბრძოლა

მზესუმზირის ჰიბრიდი სანაი მიეკუთვნება **CLEARFIELD**-ის ტიპის ჰიბრიდებს, რომლებშიც შესასხურებლად სარეველების წინააღმდეგ გამოიყენება **BASF** ის ჰერბიციდი ევროლაითენინგი. ხარჯვის ნორმა არის 1,0 — 1,2 ლ/ჰა. შესხურება მზესუმზირის 24 ფოთლის ფაზაში და სარეველების განვითარების საწყის სტადიაში.

ამ ჰერბიციდის გამოყენების შემდეგ თესლბრუნვაში დაცული უნდა იყოს კულტურების შემდეგი მონაცვ ლეობა:

— შეუზღუდავად **CLEARFIELD** საწარმოო სისტემის ჰერბიციდებისადმი მედეგი მზესუმზირას ჰიბრიდები

— 4 თვის შემდეგ ხორბალი, ჭვავი

— 10 თვისშემდეგ სიმინდი, ქერი, შვრია, მზესუმზირა (არა **CLEARFIELD**-დი), სოია,

— 20 თვის შემდეგ ყველა სხვა კულტურა

ევროლაითენინგი ჰერბიციდის უპირატესობანი:

— ამ კულტურაზე პირველი, აღმოცენების შემდგომი მოქმედების ფართო სპექტრის ჰერბიციდი

— ერთი დამუშავება ვეგეტაციის მთელი პერიოდის მანძილზე

— გამოიყენება ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავების სისტემებში

— თრგუნავს და ანადგურებს მარცვლოვან და ორლებნიან სარეველებს, მათ შორის ყველაზე პრობლემურს, აგრეთვე კელაპტარას

— მარტივი და მოქნილია გამოყენების ვადებში

— დამოკიდებული არ არის ნალექების რაოდენობაზე ახასიათებს ფოთლებიდან და ნიადაგიდან ხანგრძლივი მოქმედება

ევროლაითენინგი ჰერბიციდის გამოყენების შემდეგ სასურველი არ არის მწკრივთშორისების მექანიკური დამუშავება, რადგან შეიძლება დაირღვეს ჰერბიციდული ეკრანი. ნიადაგის ზედაპირზე დიდი რაოდენობით მცენარეული ნარჩენების არსებობისას შესაძლოა ევროლაითენინგის ნიადაგზე ზემოქმედების შემცირება.

დესიკაცია

— მზესუმზირის აღებისწინა დესიკაციის ჩატარება აუცილებელია კალათის რუხი და თეთრი სიდამპ ლეებით დაავადებისას და თუ ამონდის პროგნოზის მიხედვით, ხელი შეეწყობა ეპიფიტოტიების მა სიურ გავრცელებას. დესიკაცია იძლევა მოსავლის ადრე აღების საშუალებას, ასევე მიიღება მშრალი მარცვალი და მცირდება დანაკარგები 11.5 ც/ჰათი სიდამპლეების არარსებობის შემთხვევაშიც კი. ეს მიიღწევა სამუშაოების ხარისხის და ასაღები მანქანების მწარმოებლობის ამაღლებით.

— გამომდინარე ჩამოყალიბებადი პირობებიდან, დესიკანტებით ნათესების შესხურებას აწარმოებენ მზესუმზირის მასიური ყვავილობიდან 3540 დღის შემდეგ, მაშინ როდესაც მარცვლის სინოტივე მიაღწევს 3035%ს და ჰაერის ტემპერატურა არ იქნება 1214 ჩზე ნაკლები. ამინდის პირობებზე და მოკიდებულებით, მზესუმზირის ნათესები აღწევენ ასაღებ სიმწიფეს (თესლების სინოტივე 1214%) დესიკანტ რეგლონის შესხურებიდან 56 დღის შემდეგ. დესიკაციის შემდგომ თავიდან რომ ავიცი ლოთ მშრალი მცენარეების დაყოვნება მინდორში, დესიკაციას ატარებენ არა ერთბაშად, არამედ 23 ჯერადათ დაყოფით, რათა ის შეეთანაწყოს მოსავლის აღებას, რაც უნდა დამთავრდეს დესიკაციი დან აუცილებლათ 56 დღეში.

მოსავლის აღება

— მზესუმზირის მოსავლის აღებას იწყებენ მაშინ, როდესაც მასივში რჩება 1015% მცენარეები ყვი თელი კალათებით, ხოლო დანარჩენებს აქვთ მურა ყვითელი, მურა და მშრალი კალათები. თესლების სინოტივე ამავე დროს შეადგენს 1214%ს (სამეურნეო სიმწიფე). მშრალი მზიანი ამინდების შემთხვევაში ის მცირდება მოსავლის აღების დაწყებიდან 23 დღის განმავლობაში 810%მდე.

— კომბაინით აღებისას მარცვლის მთლიანი დანაკარგები, რომლებიც შედგება გამოუცეხვავი ნა წილისგან, ჩაცვენილი და მოუჭრელი კალათებისგან, ასევე კალათებიდან გამოიცვენილი მარცვლებისგან, არ უნდა აღემატებოდეს 2.5%ს. დაზიანებული მარცვლები, მათ შორის ჩაცვენილი და დამტვრეული, არ უნდა იყოს 2%ზე მეტი. ამისათვის კომბაინის საცეხვ აპარატში დოლის ბრუნვას ამცირებენ 300350მდე წუთში და დეკას წევენ დაბლა ისე, რომ განპირობებული იყოს თესლების მინიმალური დაზიანება და კალათის სრული გამოცეხვა.

— მოსავლის აღების ხანგრძლივობამ არ უნდა გადააჭარბოს 56 დღეს.

თესლბრუნვა

— საჭიროა 4-6 წლიანი თესლბრუნვის დაცვა.

— საუკეთესო წინამორბედი კულტურებია: საშემოდგომო ხორბალი და საშემოდგომო ქერი.

— კარგი წინამორბედებია: საგაზაფხულო ხორბალი და ქერი, წინიბურა.

— არ არის რეკომენდირებული: იონჯა, ბარდა, სოიო, შაქრის ჭარხალი, საკვები ჭარხალი, სიმინდი, სორგო.

ნიადაგის ძირითადი დამუშავება

— დადისკვა 6-8 სმზე

— სასუქების შეტანა

— მოხვნა 25-27 სმზე

აგროტექნიკური მეთოდების კომპლექსი მზესუმზირისათვის ნიადაგის მოსამზადებლად, რომელიც უნდა ჩატარდეს წინამორბედი კულტურის მოსავლის აღების შემდეგ შემოდგომით

— ნიადაგის აოშვა 6-10 სმზე

— მოხვნამდე 2-3 კვირით ადრე გლიფოსატით დამუშავება

— მოხვნა 20-22 სმ სიღრმეზე მსუბუქ და 27-30 სმზე მძიმე ნიადაგებზე

— ტრადიციული დამუშავების მაგივრად ნიადაგის ამოუბრუნაბლათ, რაც მდგომარეობს ღრმა გაფხვიერებაში 30-35 სმზე ჩიზელით.

— ღრმა გაფხვიერება იწვევს გუთნით დატოვებული ნიადაგის „ქუსლის“ დაშლას, რაც აუმჯობესებს

აერაციას და ნიადაგში ტენის დაგროვებას შემოდგომა-ზამთრის პერიოდში

აგროტექნიკური მეთოდების კომპლექსი მზესუმზირისათვის ნიადაგის მოსამზადებლათ გაზაფხულზე

— ტარდება ადრეული კულტივაცია ერთდროული დაფარცხვით და მოშანდაკებით. სამუშაოების ვა დები განისაზღვრება ნიადაგის „სიმწიფის“ მდგომარეობის დადგომით. სიღრმე 810 სმ.

— თესვისწინა დამუშავება უნდა იყოს თანაბარი, თესლის ჩათესვის სიღრმეზე. კულტივაცია ტარდება თესვის დღეს ან ერთი დღით ადრე

— როგორც წესი თესვისწინა დამუშავების ქვეშ აუცილებელია ნიადაგის ჰერბიციდების გამოყენება.

სასუქების შეტანა

მზესუმზირას სხვა მინდვრის კულტურებთან შედარებით გამოაქვს დიდი რაოდენობით აზოტი და ფოსფორი, ხოლო კალიუმის გამოტანის მხრივ მას არ ჰყავს ბადალი. 20 ც/ჰა თესლის წარმოქმნისათვის მზესუმზირას ნიადაგიდან გამოაქვს 56-58 კგ აზოტი, 22 კგ ფოსფორი და 30 კგ კალიუმი. მცენარის სხვა ნაწილები შეიცავს 50 კგ/ჰა აზოტს, 25 კგ/ჰა ფოსფორს და 180-200 კგ/ჰა კალიუმს.

მზესუმზირას მაღალი მოთხოვნილება აქვს ბორზე და მგრძნობიარეა მისი დეფიციტისადმი. ბორის მწვავე დეფიციტი იწვევს ზრდის წერტილის კვდომას. ბორის უკმარისობის შედარებით გვიან გამოვლე ნის შემთხვევაში შეინიშნება ყვავილების არანორმალური განვითარება, გაუნაყოფიერებელი ყვავილები და მოსავლიანობის შემცირება.

მინერალური სასუქების დოზები დგინდება დაგეგმილი მოსავლის და ნიადაგში საკვები ელემენტების რაოდენობის მიხედვით.

სასუქები შეაქვთ შემოდგომით მოხვნის წინ ან გაზაფხულზე ლოკალურხაზობრივი მეთოდით თესვასთან ერთად. არ შეიძლება გაზაფხულზე სასუქების, განსაკუთრებით ფოსფორის შეტანა მობნევით თესვისწინა კულტივაციის ქვეშ, იმიტომ რომ ის არ იძლევა სასურველ ეფექტს. ლოკალურხაზობრივი მეთოდით სასუქები შაქვთ თესვისას ჩათესვის მწკრივიდან 6-10 სმს დაშორებით, 10-12 სმს სიღრმეზე. სასუქები თუ შეაქვთ შემოდგომით, ამ შემთხვევაშიც კი აუცილებელია ფოსფოროვანი სასუქების შეტანა გაზაფხულზე თესვის დროს (**P** 10-15). უნდა აღინიშნოს, რომ სასუქების სიჭარბე, განსაკუთრებით აზოტოვანის იწვევს მცე ნარეთა გამძლეობის შესუსტებას გვალვისა და დაავადებებისადმი, ამცირებს ცხიმის შემცველობას. მნიშვნე ლოვანია რეკომენდირებული დოზების ზუსტად დაცვა და სწორი შეფარდება აზოტისა და ფოსფორის 1:1,5.

„კონკერი“
ყველაზე ეფექტურად ებრძვის
შვრიუკას
შეიძინეთ
„აგროქიზიყი“-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

1 ლიტრის ფასი - 55 ლარი!!!
შეიძინეთ
„აგროქიზიყში“
6 თვიანი
განვადებით!!!

მეტრი-ს ნომინანტების დაჯილდოვება სამხატვრო აკადემიაში

„და სანამ ქარი მისინჯავს მაჯას“...

„რაც დასახარჯი არსებობს,
ვხარჯავ,
რაც სანახავი არსებობს, ვნახე
და სანამ ქარი მისინჯავს
მაჯას,
მიშვერილი მაქვს წვიმისთვის
სახე“...

რა საოცრად ესადაგება დიდი პოეტის - ოთარ ჭილაძის ეს სიტყვები ჩვენს ნომინანტებს – ქართული კულტურის ქურუმებს, ღვაწლმოსილ ადამიანებს, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება შემოქმედებით წვასა და ხალხისადმი უანგარო სამსახურში გალიეს. დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, გაზეთი ,,საქართველოს ლირიკა“ და საქველმოქმედო საზოგადოება ,,ამაგდარი“ უკვე მეხუთე წელია საპატიო სიგელებით აჯილდოებს ნომინანტებს- საზოგადოების იმ რჩეულ ადამიანებს, რომელთა აურაცხელი შრომა და ღვაწლი მართლაც ფასდაუდებელია. 2014 წლის ,,მეტრის“ ნომინანტებს მიმდინარე წლის 19 მარტს უმასპინძლა თბილისის სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზმა. პროექტის ინიციატორმა, ორგანიზატორმა და ამ საღამოს წამყვანმა ნანა ჭიჭინაძემ მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა პროექტის მხარდამჭერებს: ქალბატონებს მანანა დოიჯაშვილს, ინგა შიოლაშვილს, ბატონებს ზურაბ გაბუნიას და ვანო ნატროშვილს.

საქველმოქმედო საზოგადოება ,,ამაგდარის“ გამგეობის თავმჯდომარემ ვახუშტი ქიზიყურაშვილმა საპატიო სიგელები გადასცა კომპოზიტორ **ვაჟა აზარაშვილს,** მხატვარ **გივი თოიძეს,** რეჟისორ **გიზო ჟორდანიას,** დირიჟორ **რეზო ტაკიძეს,** ოპერის მომღერალს **თენგიზ მუშკუდიანს,** კინორეჟისორებს **რეზო ჩხეიძეს, ელდარ შენგელიას,** ფერმერ **რობიზონ ნატროშვილს,** ინდმეწარმე **გოდერძი გონაშვილს** და ენტომოლოგ **მერაბ რობიტაშვილს.** მათ საპატივსაცემოდ შესრულდა არიების ლაღიძის, არაყიშვილის, თაქთაქიშვილის, პუჩინის, ვერდის, ფალიაშვილის ოპერებიდან კონსერვატორიის პროფესორის, თავად ნომინანტისთენგიზ მუშკუდიანის, სტუდენტების ამომავალი ვარსკვლავების: მარიამ ტურაშვილის, ლევან მაკარიძის, გიორგი რეხვიაშვილის, ლევან ტაბატაძის, გიორგი მოციქულაშვილის, ირაკლი კორიფაძის, ოპერის სოლისტების - სულხან გველესიანის და გოჩა დათუსანის მიერ. ღონისძიების კონცერტმეისტერი გახლდათ უმშვენიერესი - ქეთევან ინანიშვილი. თითოეულ საოპერო არიას მხურვალე აპლოდისმენტებით ხვდებოდა დამსწრე საზოგადოება.

ამ საზეიმო ღონისძიებას დიდ ხიბლს ჰმატებდა ფოლკლორულ ანსამბლ ,,ურმულის“ მიერ შესრულებული სულისშემძვრელი და მომაჯადოვებელი ხალხური ჰანგები. (სამხატვრო ხელმძღვანელი ნუგზარ ქავთარაძე.)

სპეციალურად მიეძღვნა ნომინანტ,,წლის რეიტინგული ადამიანი“ წარმატებული ფერმერის რობიზონ იაკობიშვილის ხსოვნას რევაზ ლაღიძის ოპერიდან ,,ლელა“. ლელას არია მარიამ ტურაშვილის შესრულებით, ხოლო პუჩინის ოპერიდან ,,მანონ ლესკო“, მანონის არია - ნინო ლაკვეხელიანის შესრულებით.

გაზეთ ,,საქართველოს ლირიკის“ სარედაქციო საბჭოს წევრმა, პოეტმა ნანა საბანაძემ საკუთარი ლექსები მიუძღვნა ნომინანტებს, მანვე წაიკითხა პოეტების - მარინე ცხვედიაშვილს და ეთერ ფაცურიას ლექსები.

ნომინანტებს თბილი სიტყვებით მიმართეს და დაჯილდოება მიულოცეს ოპერის კაშკაშა ვარსკვლავებმა - მედეა ამირანაშვილმა, ლადო კანდელაკმა, პოეტმა მანანა დანგაძემ, (ვაჟა აზარაშვილის მეუღლე) რეჟისორმა მაია ბურდულმა, ექიმ-თერაპევტმა ნორა ბაბუნაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გიზო ჟორდანიას ბავშვობამ ჩემს თვალწინ გაიარა, მისი დედა და მე ერთად ვმუშაობდით კლარა ცეტკინის ქუზე მდებარე სანეპიდსადგურში, მამა ადრე გარდაეცვალა, დედამ დიდი გაჭირვებით გაზარდა და სწავლაშიც ხელი შეეწყო...დღეს იამაყებენ მისი მშობლები გიზოს მიღწევებით, იგი დიდი ადამიანი და დიდი რეჟისორია... მადლობა მინდა ვუთხრა არაერთი საინტერესო პროექტის ავტორს, ინიციატორს და ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს ამ არაჩვეულებრივი საღამოს მოწყობისთვის, იგი ყოველთვის მეპატიჟება არამარტო თბილისში, არამედ დედოფლისწყაროს რაიონში გამართულ კულტურულ ღონისძიებებზე და აღფრთოვანებული ვარ მისი ენთუზიაზმით, ყურადღებით და შემართებით...

ახალგაზრდა მხატვარმა ქეთი მხეიძემ საგაზაფხულო გამოფენა მიუძღვნა ,,მეტრის“ ნომინანტებს. გივი თოიძემ, თენგიზ მუშკუდიანმა, გიზო ჟორდანიამ, გოდერძი გონაშვილმა, მერაბ რობიტაშვილმა, რობიზონ ნატროშვილმა ნომინანტების სახელით მადლობა გადაუხადეს საღამოს ორგანიზატორებს მათი ღვაწლის დაფასებისთვის. ბატონმა რობიზონმა აღნიშნა, - 40 წელი ცხვარში გავატარე და დღეს პროფესიის არჩევანის წინაშე რომ ვიყო, კვლავ მეცხვარეობას ავირჩევდიო .საქართველოს იალაღები ფეხითა მაქვს შემოვლილიო, რასაც დამსწრე საზოგადოებისაგან ხანგრძლივი ტაში მოჰყვა, ეს გულწრფელი ტაში ყველა ჯილდოზე ძვირფასია ჩემთვის, დასძინა რობიზონმა.

სიტყვები უძლურია იმ შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ,რაც სამხატვრო აკადემიის სიყვარულით გამთბარ, ხალხით გადაჭედილ საგამოფენო დარბაზში სუფევდა.

მარიკა პოპიაშვილი



მონატრება

ზაზა ჩიტოშვილი



„რაღა ჩვენა გვკლავ, სიკვდილო, რადარ თითონა ჰკვდებიო?“ - გამწარებული ადამიანის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ეს, ერთი შეხედვით, ბანალური კითხვა, ალბათ, იმ დღიდან არსებობს, რაც კაენის პირველცოდვამ აბელი იმსხვერპლა.

სიკვდილიც სიკვდილია... ზაზა ჩიტოშვილის სიკვდილი სხვებისას არ ჰგავდა... მისი ტრადიციული ქართული აღნაგობა, ვაჟკაცური იერსახე და ბუნებრივი კეთილშობილება უკვდავისა და მარადიულის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ვინ იფიქრებდა, რომ უკურნებელი სენი მოერეოდა და დაამარცხებდა.

ჩვენთვის, მისი უახლოესი ადამიანებისთვის, წლების შემდეგაც დაუჯერებელია ის კოშმარი, რომელმაც შეძრა შინაური თუ გარეული, მტერი თუ მოყვარე. ნაადრევად მიგვატოვა სამაგალითო შვილმა, მამამ, მეუღლემ, ნათესავმა, მეზობელმა და მეგობარმა, კაცურ კაცობის, სიკეთისა და სიყვრულის ეტალონმა. ზაზა იყო კაცი, რომელიც ყველას ტკივილს და სიხარულს ითავისებდა.

უცხოეთში ლტოლვილად ქცეულს სამშობლოზე ფიქრი და ნაცნობ-მეგობრებთან სატელეფონო საუბრები მაგიურ ძალას მატებდა და დიდ ფიზიკურ ტკივილს უმსუბუქებდა. შეუძლებელი შეძლო ოკეანის მეორე მხარეს მყოფმა, გაუსაძლისი ტკივილების მიუხედავად, მშობლიური მიწა-წყალი ინახულა და...ორთვიანი წამების შემდეგ სამუდამოდ მიგვატოვა...

წუხილი უსაზღვროა, სევდა-განუზომელი... განსაკუთრებით კი 9 აპრილის მოახლოებისას... ზაზას დაბადების დღის მისალოცად სასაფლაოზე ვიკრიბებით... არის ბევრი ყვავილი და ცრემლი, მწუხარე მშობლები, და-ძმები, ცოლ-შვილი...

გვჯერა, ჩემო ზაზა, რომ ანგელოზთა დასი სასუფევლის კარამდის მიგაცილებდა... მარადიული სამყოფელიდან ილოცე შენი უსაყვარლესი შვილებისათვის, რომლებიც ღირსეული მამის გაკვალული გზით მიდიან და ამაყობენ, რომ ზაზა ჩიტოშვილის შვილები არიან...

ჩვენ?.. ჩვენ კი ყოველთვის გვახსოვხარ! გვიყვარხარ! გვიყვარხარ!... გვაკლიხარ!... გვენატრები!..

შენი ლია ძალო

მონატრება

გიორგი აბიათარი

ჩემო თვალის ჩინო, შვილო გიორგი, 5 აპრილი შენი დაბადების დღეა. დედა ისევ მარტო შეხვდება აპრილის დადგომას და მეექვსედ მარტო, თვალცრემლიანი, დამწუხრებული მოვა შენს საფლავზე და მოგიტანს ყვავილებს, ისე როგორც შენ მილოცავდი ყოველ დღესასწაულს.

ჩემო ბიჭო, 18 წლისა შეეწირე სამშობლოს სიყვარულს შენს მეგობრებთან ერთად.თქვენს საფლავებზე, სანამ ცოცხალი ვარ, იფრიალებს საქართველოს დროშა. სამშობლო არასოდეს დაგივიწყებთ. 5აპრილს დედა და შენი ახლობლები მოვალთ და ყვავილებით შევამკობთ ოთხივე ბიჭის მემორიალს, რომელიც რუსთავში თქვენი ნაწილის ეზოშია აღმართული თქვენს საპატივსაცემოდ. შემდეგ კი დედა შენს მეგობრებთან ერთად მოგილოცავს 24 წლის შესრულებას.ღმერთს ვეხვეწები, მალე შეგვახვედროს ერთმანეთს.

რატომ მესიზმრე წელის საფარველში,
ხომ არ შეწუხდი შვილო?
როგორ იქნება რომ არ გიტირო,
შენ ჩემო თვალის ჩინო.
არ შევევედრო მამაზეციერს,
არ შევაბრალო თავი,
არ ვნახო შენი სურათი
დედისთვის საფიცარი.
სულ მუდამ გენთოს სანთელი,
გიო, გმირი ხარ ქართველი.

შენი დამწუხრებული
დედა და ახლობლები.

პოლიციამ იარაღი ამოიღო

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში დედოფლისწყაროში მცხოვრებმა, 1960 წელს დაბადებულმა, შალვა მ-მ ცეცხლსასროლი იარაღი ნებაყოფლობით წარმოადგინა და ჩააბარა. ამოღებულია შემდეგი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: ქარხნული წესით დამზადებული 23 მმ-იანი 1 ცალი ჭურვი, „პე-გე 7“-ის ტიპის 2 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, „ტოზ 8 ემ“-ის მოდელის მცირეკალიბრიანი შაშხანა, სხვადასხვა სისტემის იარაღისთვის განკუთვნილი 130 საბრძოლო ვაზნა, „ერ-გე-დე 5“-ის ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარა და მსხვრევადი ხელყუმბარის 7 ცალი ფალია.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. მედიისთვის უცნობია, საიდან ფლობდა მოქალაქე იარაღს.



შვილები: გია, ნანა; რძალი ნათია სეფიაშვილი; სიძეები: მერაბ ალადაშვილი, ლევან ალადაშვილი, ლაშა მოძღვრიშვილი, ლევან ბაღაშვილი. შვილიშვილები: ხატია, ანა, ნინო, თამარი, თინათინი, შვილთაშვილები იუწყებიან

ამალია გოგილაშვილ – ზურაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 1 აპრილს, ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩა N151.

სოსო ჯანაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს გოჩა, ომარ, გია და ოლეგ ჩალახეშაშვილების ოჯახებს

ზაურ ჩალახეშაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ და გელა გველუკაშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ გოჩა, ომარ, თინიკო, მარი და ზურა ჩალახეშაშვილებს

ზაურ ჩალახეშაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნანა ყაზარაშვილი, გურამ ნიკოაშვილი, ნორა სულაშვილი, გია გონაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, ლილი გონაშვილი, ომარ ალადაშვილი, ბერდო ნასრაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, რაია ბაცაცაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა, სოსო, ვასიკო, ნოდარ გოგაშვილებს დის და დეიდის

ლეილას

გარდაცვალების გამო.

მერი პოპიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება მეგობრის

ამალია გოგილაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

უხარისხო საკვები - ნელი მოქმედების ნაღმი

რამდენად უსაფრთოა ჩვენი ყოველდღიური კვება?!

(მეხუთე გვერდიდან)

მიერაა წამოჭრილი და რასაც ჩვენ ვებრძვით, მსოფლიო პრობლემაა, შემოწმება და ლაბორატორიული კვლევა თითოეულ პროდუქტზე, საკმაოდ დიდი ფუფუნებაა, რადგან ძალიან ძვირი ჯდება, ყველა კვლევა, რა თქმა უნდა, არ ტარდება და ვერც ჩატარდება, მით უმეტეს ფქვილზე ან ფურნებში და საცხობებში არ გვაქვს კონტროლი, რაც გეთანხმებით, რომ აუცილებელი და სასიცოცხლოდ საჭიროა, მაგრამ, ყველაფრის კვლევა არ ტარდება, ან ვერ ტარდება. ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, რაც შეგვიძლია ის არის, რომ ვაკონტროლებთ მაღალი რისკის შემცველ პროდუქტებს, ესენია: ბავშვთა კვება, "ჰუმანას" ნაწარმი და მისი კლასი, ბავშვების ბურღულეული, რძის პროდუქტები, ხორცეული და ა.შ. ზაფხულის სეზონზე ვაკონტროლებთ ბოსტნეულსაც, თუმცა ადგილობრივი ბოსტნეული ნაკლებად კონტროლირებადია, რაზეც ბოლომდე ჩვენ ვერ ვაგებთ პასუხს, ამაზე თავად იმ გლეხებმაც უნდა იფიქრონ და მათ კეთილსინდისიერებაზეც ბევრია დამოკიდებული, რომლებიც მოყვანილ პროდუქციას უწევენ რეალიზაციას. რაც შეეხება შემოსულს, შემოსული გაცილებით უსაფრთხოა, რადგან შეუმოწმებელს არ ვუშვებთ-სარეალიზაციოდ. გასულ წელს, მაგალითად, შემოსული საზამთრო გავაბრუნეთ უკან, რადგან მისი მიღება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გახლდათ. მაშინ უამრავი ადამიანი გადავარჩინეთ საფრთხეს, რაც ჩვენი სამსახურის დიდი დამსახურებაა." -აცხადებენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში.

მანამდე კი, სანამ ჩვენს დახლებზე (შემოსული, თუ ჩვენი ეროვნული, უკვე მიჭირს გაგება, რომელშია პრობლემა) პესტიციდებით და სასუქით გაჯერებული ბოსტნეული პროდუქცია "გვიღიმის", გამოსავალი მხოლოდ ერთია - ისღა დაგვრჩენია დედებს, მამებს, პაპებს და ბებიებს, ხელები კარგად დავიკაპიწოთ, მოვკიდოთ ხელი თოხსა და ბარს, გავისარჯოთ, ჩვენი ხელით დავამუშავოთ თუნდაც მცირეოდენი მიწის ნაკვეთი, გავამდიდროთ ნიადაგი არათუ ქიმიური სასუქით, არამედ, ჩვენივე ბუნებრივი ტყის ნეშომპალიანი მიწით ან შინაური პირუტყვის ნაკელით და მოვიყვანოთ ის მცირეოდენი ბოსტნეული, რომელიც ჩვენს ოჯახებს ზაფხულისა, თუ შემოდგომის სეზონზე მაინც გამოკვებავს. ამ ქმედებით არაფერი არ დაგვაკლდება, მცირედით გავირჯებით და უფრო გავკაჟდებით, განა ჩვენი მამა-პაპანი საკუთარი მოყვანილი პროდუქციით არ იკვებებოდნენ?!- ბევრად ჯანმრთელებიც იყვნენ და დიდხანსაც ცოცხლობდნენ. ჩვენც თუ ასე მოვიქცევით, ბევრად ადვილად შევძლებთ მოვერიოთ იმ სენს, რასაც უამრავი დაავადება მოაქვს ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის, თანაც საკუთარი მარჯვენით მოყვანილი ხომ ყოველთვის ტკბილია, გემრიელია და რაც ყველაზე მთავარია, ნატურალური, ნაღდი და უსაფრთხოა.

ლალი მეხრიშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ვიოლეტა ნატროშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს და მადლიერ პაციენტთა სიმრავლეს. შენ შენი ენერგიულობით, სიმარჯვით და მუდამ ხალისიანობით ავსებ და ალამაზებ ჩვენს სამსახურს. გვიყვარხარ და გვეამაყები. ყოველმხრივ სიხარულს გისურვებთ.

პატივისცემით სოფელ ზემო მაჩხაანის ამბულატორიის თანამშრომლები.

ვიოლეტა ნატროშვილს!

ვიოლა, გილოცავთ იუბილეს, შენ სოფელ ოზაანის ამბულატორიის ნაწილი ხარ, რადგან შენი ცხოვრების გარკვეული წლების დიდი ღვაწლი სწორედ ჩვენს სამედიცინო პუნქტში მუშაობას და ხალხის სოფელ ოზაანის სამსახურში ყოფნას შეალიე. მუდამ ლამაზი, მხნე და ძლიერი გვახსოვხარ ყველას,გვინდა ასე გაგრძელდეს დიდხანს. ულევი სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენ და შენს დიდ ოჯახს.

სოფელ ოზაანის სამედიცინო პუნქტის თანამშრომლები.

ნინო გოგილაშვილს!
შოთიკო ჯამასპიშვილს!

გილოცავთ პატარა სალომეს დაბადებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და აკვანთა სიმრავლეს. წინსვლა და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი ოჯახის თანამგზავრი.

დიდი სიყვარულით პაპა-ბებიები: თინა და ოლეგ გოგილაშვილები, ლეილა და ბადურ ჯამასპიშვილები; **დეიდა** ქეთი; **ბიძები:** დათო და ზვიად ჯამასპიშვილები.

სანდა

სპორტი

8-9 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა ევრაზიის თასის პირველობა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, ირანის, ერაყის სპორტული კლუბები, რუსეთის ფედერაციის სახელით კი მონაწილეობდნენ დაღესტანი და ჩეჩნეთი. მთლიანად შეჯიბრში 210 სპორტსმენი ასპარეზობდა. ამ შეჯიბრში მონაწილეობდა ზემო მაჩხაანის სპორტული კლუბი „ზაქები", რომელიც საქართველოს კუნგ-ფუ-სანდას ეროვნული ფედერაციის წევრია. ევროპის პირველობაზე საუკეთესო შედეგი აჩვენეს გიორგი და სანდრო ნატროშვილმა, ისინი პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ. გიორგიმ ოქროს ქამრის მფლობელს სძლია და გამარჯვებულის ტიტულთან ერთად პრესტიჟის ქულაც აიღო.

მესამე ადგილზე გავიდნენ გიგა ნატროშვილი, ნიკა მარგველანი, თამაზ გაბიტაშვილი და გიგა ნანობაშვილი.

გუნდს ავარჯიშებს კუნგფუ-სანდას კახეთის რეგიონის მწვრთნელი გენადი ნატროშვილი და მწვრთნელი გიორგი ფიროსმანაშვილი.

ხრიდოლი

ხრიდოლის ეროვნულმა ფედერაციამ ჩაატარა ორთაბრძოლა „რკენაში", სადაც მონაწილეობდა კლუბი „ზაქები".ეს სპორტული კლუბი აქტიურად თანამშრომლობს ხრიდოლის ფედერაციასთან. ამ შეჯიბრშიპირველი ადგილის მფლობელები გახდნენ დიმა ნადირაშვილი და გიორგი ნატროშვილი, ხოლო მეორე ადგილს დასჯერდა გიგა ნატროშვილი. გუნდი ასპარეზობისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა გენადი ნატროშვილმა და გიორგი ფიროსმანაშვილმა.

იყიდება

იყიდება 1,5 ოთახიანი იზოლირებული ბინა 40 კვ.მ. ვანა-ტუალეტით, სამზარეულოთი, ცივი და ცხელი წყლით, კანალიზაციით, ბუნებრივი აირით, ელექტრო გაყვანილობით, სატელიტური ანტენით, სარდაფისა და საბოსტნე ადგილის გამოყოფის პერპექტივით. ფასი შეთანხმებით.
დედოფლისწყარო, ნიკორხიცის №41

☎ 599 330 680

იყიდება

იყიდება ქ.დედოფლისწყაროში ორსართულიანი სახლი დიდი ეზოთი, გარაჟით და ყველა სხვა საჭირო სათავსოთი. აქვს მუდმივი წყალი, დენი და ბენებრივი აირი. შესაძლებელია, გაიყიდოს ავეჯთან ერთადაც. ფასი შეთანხმებით.

☎ 577-66-45-38.

სიახლე!

26 თებერვლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში მუშაობას იწყებს ინკუბატორი სპეციალურად იხვის კვერცხის გამოსაჩეკად. ასევე მიიღება ნებისმიერი ფრინველის კვერცხი.
მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა N14, კულტურის სახლთან. მისასვლელი-ახალი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან. მსურველებმა დარეკეთ:
☎ 579 33 07 41; 555 00 79 16; 557 23 88 99; 790 40 82 15 იკითხეთ თამაზი.

ვ ა კ ა ნ ს ი ა embawood

დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ხორნაბუჯში კომპანია „embawood"-ის ბრენდ მაღაზიაში გვესაჭიროება კონსულტანტ-გამყიდველი, სასურველია ახალგაზრდა ქალბატონი 20-დან 30 წლამდე. აუცილებელი მოთხოვნაა იცოდეს რუსული ენა. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ CV გადმოაგზავნოთ ელ-ფოსტაზე.
embawood.kakheti@mail.ru ან მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე: სოფელი ხორნაბუჯი, მეგობრობის ქუჩა №20 დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით
☎ 591-24-25-23 გისურვებთ წარმატებებს.

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 07.04	სამშაბათი 08.04	ოთხშაბათი 09.04	ხუთშაბათი 10.04	პარასკევი 11.04	შაბათი 12.04	კვირა 13.04
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
5 ° 4 °	13 ° 10 °	8 ° 7 °	11 ° 10 °	12 ° 6 °	3 ° 2 °	2 ° 1 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნინრა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K